



# ნამახვანჭესის კასკადის მშენებლობის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების მონიტორინგი

სამართლებრივი ანალიზი

2021

**ავტორი:** გიორგი ტყეშელაშვილი

**რედაქტირება:** ალექსო ცეციტიშვილი, გიორგი კაკუბავა

**მონიტორები:** ანი ფორჩხიძე, თამარ ქურთაული, ნინო ჩიხლაძე

**ფოტო ყდაზე:** ალექსო ცეციტიშვილის



### ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

#### ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); [www.fidh.org](http://www.fidh.org)
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); [www.omct.org](http://www.omct.org)
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი [www.humanrightshouse.org](http://www.humanrightshouse.org)
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); [www.coalitionfortheicc.org](http://www.coalitionfortheicc.org)

#### მისამართი:

0160 თბილისი, ა. გაბოკიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: [hrc@hrc.ge](mailto:hrc@hrc.ge)

ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: <http://www.humanrights.ge>

ვებ-საიტი: [hrc.ge](http://hrc.ge)



ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.



## სარჩევი

|                                                                                                          |    |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| შესავალი .....                                                                                           | 3  |
| ზოგადი კონტექსტის მიმოხილვა.....                                                                         | 3  |
| შეკრების თავისუფლებაში ჩარევა და კარვების დაშლის სამართლებრივი შეფასება.....                             | 8  |
| სოფელ ჟონეთში გამართული აქცია.....                                                                       | 9  |
| სოფელ ნამოხვანში გამართული აქცია .....                                                                   | 13 |
| სოფელ გუმათში გამართული აქცია .....                                                                      | 14 |
| 24 მაისის აქცია, თბილისი.....                                                                            | 15 |
| 26 მაისის აქცია, თბილისი.....                                                                            | 19 |
| კარვის აღების შეფასება .....                                                                             | 20 |
| გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა.....                                                                 | 22 |
| შეკრების მონაწილეთა დაკავების/დაჯარიმების პრაქტიკა .....                                                 | 24 |
| სამოქალაქო აქტივისტების უფლებრივი მდგომარეობა აქციაზე .....                                              | 26 |
| ქსენოფობიის/ჰომოფობიის პრობლემა - გავრცელებული ინფორმაციები და აქციის<br>ორგანიზატორთა განმარტებები..... | 27 |
| დასკვნა.....                                                                                             | 29 |
| რეკომენდაციები .....                                                                                     | 30 |

## შესავალი

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული მონიტორინგის წინამდებარე ანგარიში ასახავს ნამახვანჭესის კასკადის (შემდგომში - ნამახვანჭესი) მშენებლობის წინააღმდეგ განვითარებული მოვლენების/აქციების მონიტორინგის მიგნებებსა და შედეგებს; გამოყოფს იმ ძირითად პრობლემებსა და საკითხებს, რაც გამოიკვეთა საანგარიშო პერიოდში ან წარმოიშვა მანამდე, მაგრამ აქტუალური იყო 2021 წელსაც.

დოკუმენტში, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შეკრება/მანიფესტაციის თავისუფლებასა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს. აქცენტი გაკეთდა როგორც უფლებადარღვევებზე და ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოს რეაგირებაზე, ასევე - ხარვეზიან კანონმდებლობაზე.

ანალიტიკური დოკუმენტი მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და მხოლოდ ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის იმ სტანდარტების იდენტიფიცირებას, რაც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ შეკრება-მანიფესტაციის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით. ამასთან, დოკუმენტში შეფასებულია რიონის ხეობაში სახელმწიფოს ქმედებები და იქ შეკრებილი ადამიანების, როგორც მიმოსვლის, ასევე შეკრება/მანიფესტაციის და გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის ლეგიტიმურობისა და პროპორციულობის საფუძვლები.

ამ დოკუმენტით ადამიანის უფლებათა ცენტრს სურს, საზოგადოებას, განსაკუთრებით კი - თემით დაინტერესებულ აქტორებს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, მიაწოდოს ნამახვანჭესის წინააღმდეგ გამართული აქციების შესახებ ფაქტობრივი სახის ინფორმაცია, ნორმატიულ ინფორმაციასთან ერთად, შესაბამისი შეფასებებით, რაც ადამიანის უფლებებთან უშუალოდ არის დაკავშირებული.

ანგარიშის მომზადების პროცესში ადამიანის უფლებათა ცენტრმა სხვადასხვა მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი გამოიყენა. ემპირიული მასალის შეგროვება უზრუნველყოფილია შემდეგი ძირითადი საშუალებებით: საქართველოს კანონმდებლობის ბაზისა და პოლიტიკის დოკუმენტების შესწავლა; საპროტესტო აქციების მონიტორინგის პერიოდში მომზადებული მონიტორინგის ანგარიშების და სხვადასხვა დოკუმენტების დამუშავება/შესწავლა, სასამართლოების, ადმინისტრაციული ორგანოების და სახალხო დამცველთან არსებული საჯარო ინფორმაციის შესწავლა. კვლევის ფარგლებში ინფორმაცია, ასევე, შეგროვდა მედიამონიტორინგის გზით.

## ზოგადი კონტექსტის მიმოხილვა

ნამახვანჭესის კასკადის პროექტი მდ. რიონის ხეობაში, სოფელ ტვიშსა და სოფელ ჟონეთს შორის მასშტაბური კასკადების მშენებლობას ითვალისწინებს<sup>1</sup>. თავად იდეა ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში გაჩნდა, მაგრამ პროექტის მასშტაბურობის, თანმდევი რისკებისა და სხვა ობიექტურ მიზეზთა გამო, მას დღის სინათლე დიდი ხნის განმავლობაში არ უნახავს. პროექტი 2000-იანი წლებში „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პირობებში გააქტიურდა. თავდაპირველად, 2009 წლის 8 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ

<sup>1</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3A0ELo9>. ბოლოს ნანახია: 05.17.2021.

ნამახვანჭესის კასკადის აშენების შესახებ მემორანდუმი გააფორმა თურქულ (Nurol Energy Production and Marketing Inc) და კორეულ კომპანიებთან (Korea Electric Power Corporation & SK Engineering and Construction Co, Ltd)<sup>2</sup>. 2019 წელს კი, საქართველოს მთავრობამ, ხელისუფლებაში მმართველი ძალის - „ქართული ოცნების“ ყოფნისას, თურქულ კომპანია ENKA-ს და ნორვეგიის სუფთა ენერგიის ჯგუფს (Norway's Clean Energy Group) იმერეთსა და ლეჩხუმში ნამახვანჭესის კასკადის განვითარების, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების უფლება მიანიჭა. ხელისუფლება ენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდას იმედოვნებს და ირწმუნება, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ, საკუთარი გენერაციით, ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარების თითქმის 12 პროცენტი იქნება უზრუნველყოფილი. მთავრობა ასევე მიიჩნევს, რომ ჰესების კასკადის პროექტში ჯამში 1600-მდე მოქალაქე დასაქმდება<sup>3</sup>. ENKA-მ მოსამზადებელი სამუშაოები 2020 წლის მაისში დაიწყო და სამშენებლო სამუშაოებს, საპროტესტო აქციების პარალელურად, ერთდროულად ოთხ ადგილზე ატარებს<sup>4</sup>.

საყურადღებოა, რომ მთავრობის მეთაურის და მმართველი გუნდის სხვა წარმომადგენლების ბოლოდროინდელი განცხადებები არსებითად ეწინააღმდეგება „ქართული ოცნების“ თავდაპირველად გაცხადებულ პოზიციას. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისას „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის მიხედვით<sup>5</sup>, ერთ-ერთი დაპირება იყო, „სეისმურობის მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, დიდი ჰესებისა და ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის აკრძალვა“; ასევე - ალტერნატიული და განახლებადი წყაროების გამოყენების ხელშეწყობა, მოსახლეობაში ამ სახის ინდივიდუალური სისტემების გავრცელების მხარდაჭერა, ენერგოეფექტიანობის გაზრდისკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამების განხორციელება; ქვეყანაში ელექტროენერგიის მოთხოვნის ზრდისა და თანამედროვე გარემოსდაცვითი სტანდარტების გათვალისწინებით, მიკრო და მცირე ჰესების მშენებლობის, აგრეთვე არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის ხელშეწყობა<sup>6</sup>. ამ დაპირებების საპირისპიროდ, საბოლოოდ, ნამახვანჭესის მასშტაბური პროექტის მშენებლობისკენ პირველი ნაბიჯები სწორედ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში გადაიდგა.

ნამახვანჭესის პროექტმა განვლილი 12 წლის მანძილზე როგორც ტექნიკური, ისე ენერგეტიკული მახასიათებლები შეიცვალა. შესაბამისად, პროექტის ცვლილებების გათვალისწინებით, კასკადზე რამდენიმე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადდა. სამწუხაროდ, სიდრმისეული კვლევა ამ 12 წლის განმავლობაში მომზადებულ არც ერთ გზშ-ს ანგარიშში არ გვხვდება, რაც საზოგადოებაში არაერთ კითხვას აჩენს ჰესის მშენებლობის უსაფრთხოებისა და მისი გარემოზე უარყოფითად ზემოქმედების საკითხებთან დაკავშირებით.

უკანასკნელ წლებში საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებმა მასშტაბური ხასიათი მიიღო. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ჰესები ასოცირდება ბუნებრივი გარემოს განადგურებასთან, ადგილობრივი

<sup>2</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3gYsxod>, (08.12.2009). ბოლოს ნანახია: 05.19.2021.

<sup>3</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3wXgixU>. ბოლოს ნანახია: 05.17.2021.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იხ. „ენერგოდამოუკიდებლობა თუ რბოლა ფსკერისკენ?!“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 04.29.2021. <https://bit.ly/2TvHS6W>.

<sup>6</sup> იხ. საარჩევნო ბლოკის, „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ საარჩევნო პროგრამა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის. გვ. 55.

მოსახლეობის ძალადობრივ გადასახლებასა და მათი ინტერესების და ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაყენებასთან. ამ საფრთხეებზე აპელირებენ ნამახვანჭესის მშენებლობის მოწინააღმდეგეებიც. ზოგადი სურათის შეფასებით, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების მხრიდან ამგვარ ნეგატიურ დამოკიდებულებას რამდენიმე მიზეზი აქვს.

ერთ-ერთი მიზეზი არის, ზოგადად, სტრატეგიული ხედვების ნაკლებობა. კერძოდ, სახელმწიფოს ამ დრომდე არა აქვს ერთიანი, საფუძვლიანი ენერგეტიკული სტრატეგია, რომელიც ნათლად აჩვენებდა ჰესების როლს ენერგეტიკულ უზრუნველყოფაში და შემოიტანდა მათი განვითარების პრიორიტეტებს. ამასთან, მხოლოდ დეკლარატიული მოწოდება, რომ ჰესები ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის, ენერგოუსაფრთხოებისათვის და ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, არადამაჯერებელია როგორც საზოგადოების, ასევე დარგის სპეციალისტებისათვის<sup>7</sup>. ვითარებას ამწვავებს ისიც, რომ არ ხდება ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებისთვის დაგეგმილი პროექტების და მასთან დაკავშირებული სტრატეგიული დოკუმენტების საჯარო განხილვა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამაჯერებელი არჩევის შეთავაზება, რაც უნდა ეყრდნობოდეს პროექტების დაგეგმვის პროფესიულ მეთოდებს და მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფას.

პრობლემას წარმოადგენს ხარისხის კონტროლის და მართვის მექანიზმების სისუსტე, რაც სამართლიან კითხვებს აჩენს საზოგადოებაში. მაგალითად, ნამახვანჭესის კასკადის მშენებლობის უფლება მოიპოვა Clean Energy ჯგუფმა, რომელმაც, სავარაუდოდ, ვერ უზრუნველყო მუახვეის ჰესის სათანადოდ დასრულება. გარდა ამისა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა პროექტების ეკონომიკური ანალიზის განუხორციელებლობაა. ახალი ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები პრაქტიკულად არასოდეს არის დასაბუთებული, არ ხდება გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეპირისპირება გარემოსდაცვითი, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით<sup>8</sup>.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობები მკს „ენკა რინიუებლზს“ სრულად ჯერ ისევ არ შეუსრულებია. მაგალითად, 2021 წლის 18 იანვარს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამუშაოების ინსპექტირებისას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დარღვევა დააფიქსირა და მშენებელი კომპანია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე 2000 ლარით დააჯარიმა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით დადგენილია, რომ კომპანიამ გარემოს დაცვის სამინისტროში პროექტის მშენებლობის დაწყებამდე არ წარადგინა: მშენებლობის სატრანსპორტო სქემა ქ. ქუთაისის შემოვლით; ფუჭი ქანების სანაყარო პროექტები; ტვიშის ზონაში წარმოებული ყურძნისა და ღვინის ხარისხობრივ მახასიათებლებზე მონიტორინგის მონაცემები და შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები; სამშენებლო პროექტების/ბანაკების პროექტები<sup>9</sup>.

<sup>7</sup> იხ. WEG-ის კვლევა: [http://weg.ge/sites/default/files/hesebi\\_0.pdf](http://weg.ge/sites/default/files/hesebi_0.pdf)

<sup>8</sup> იხ. EMC-ის კვლევა - „ჰესების მშენებლობა სვანეთში და მისი ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე“, თბილისი, 2019 წ.: <https://bit.ly/3kB707B>.

<sup>9</sup> იხ. ნამახვანჭესების კასკადის მშენებლობა კანონის დარღვევით მიმდინარეობს, მწვანე ალტერნატივა. 22.02.2021 წ.: <https://bit.ly/3w8N6Tr>.

ნამახვანჭესის მშენებლობის მოწინააღმდეგეთა პროტესტის ერთ-ერთი მიზეზი უკავშირდება გარემოსდაცვითი პროცედურებისა და ანგარიშების ხარვეზებს. კერძოდ, გარემოზე ზემოქმედების შეფასება დროში ჩამორჩება მთავარ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს და მათზე ზეგავლენას ვერ ახდენს. გარდა ამისა, მთავარი პრობლემა და მწვავე კრიტიკის საგანია გარემოზე ზემოქმედების შეფასების (Environmental Impact Assessment) (შემდგომში - გზშ) დოკუმენტების და მათ საფუძვლად გამოყენებული კვლევების ხარისხი, რაც გავლენას ახდენს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მიმართ ნეგატიური განწყობების გაჩენაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი სრულად და ამომწურავად განსაზღვრავს იმ ინფორმაციის ფარგლებს, რასაც გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს და რომლის საფუძველზეც, სამინისტრო უფლებამოსილია, გასცეს დადებითი ნებართვა<sup>10</sup>. ამასთან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ იცნობს რამე სახის პირობიანი ნებართვის გაცემის შესაძლებლობას, ვინაიდან ამგვარი მიდგომა პირდაპირ ეწინააღმდეგება გარემოსდაცვით პრინციპებს. შესაბამისად, დაუშვებელია გადაწყვეტილების მიღება პროექტზე სრული და ყოველმხრივი ინფორმაციის არარსებობისას და მისი სავალდებულო საექსპერტო შეფასების გარეშე. მითითებული გარემოებები გზშ-ის ანგარიშის ის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელთა წინასწარი შეფასება პროექტის განხორციელებაზე დადებითი გადაწყვეტილების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. არასრულფასოვანი კვლევების ფონზე, ანგარიშის მიღება და პროექტის დადებითად შეფასება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

ნამახვანჭესის მშენებლობისადმი საზოგადოების ნაწილის ნეგატიური დამოკიდებულებისა და პროტესტის უმნიშვნელოვანესი მიზეზია გაუმჭირვალე პროცედურები და მემორანდუმები. საქართველოს მთავრობასა და კონკრეტულ კომპანიებს შორის დადებული მემორანდუმების უმრავლესობა, მნიშვნელოვნად განსხვავებულ და ზოგჯერ გასაიდუმლოებულ პირობებს შეიცავს. შესაბამისად, საზოგადოებას მასზე წვდომა არ აქვს, რაც სხვადასხვა დასკვნის გაკეთების პროვოცირებასა და, საბოლოოდ, საპროტესტო ტალღის შექმნას უწყობს ხელს. ამასთან, მემორანდუმები ეწინააღმდეგება ღია ბაზრის პრინციპებს, სახელმწიფოს აკისრებს ჭარბ ფინანსურ რისკებსა და სხვა სახის მძიმე ვალდებულებებს<sup>11</sup>.

პროტესტის მიზეზი, ასევე, არის კომუნიკაციის არარსებობა და ნაკლებობა. ადგილობრივი მოსახლეობა წუხილს გამოხატავს მთავრობის წარმომადგენლებისა და დევლოპერების მხრიდან კომუნიკაციის ნაკლებობაზე ან საერთოდ არარსებობასთან დაკავშირებით. თანმიმდევრული და სწორი კომუნიკაციის გარეშე კი, ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის აღდგენა რთულდება და ხშირად ვითარება უკიდურესად მძიმდება, რასაც სახელმწიფო რეპრესიულ საპოლიციო პოლიტიკას უპირისპირებს.

2019 წლის 17 ივნისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსდა მპს „ენკა რინიუებლზის“<sup>12</sup> (Enka Renewables) მიერ

<sup>10</sup> იხ. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 10.: <https://bit.ly/3jpLgL5>.

<sup>11</sup> იხ. „ნამახვანჭესის ხელშეკრულების შეფასება“, სოციალური სამართლიანობის ცენტრი: <https://bit.ly/3h1NLlf>.

<sup>12</sup> 2019 წლის 27 მაისს, სს „ნამახვანჭა“ ნამახვანჭის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით გაცემული 2015 წლის 25 დეკემბრის N73 დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივი უფლებამოსილებები სრულად გადასცა მპს „ენკა რინიუებლზს“. იხ. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-451 ბრძანება: <https://bit.ly/2UMFwRj>.



წარდგენილი სკოპინგის ანგარიში. დაინტერესებული პირებისათვის შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის ვადად 2019 წლის 9 ივლისი განისაზღვრა, ხოლო სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, 2019 წლის 6 სექტემბერს, 14:00 საათზე ჩაინიშნა. თუმცა, სკოპინგის ანგარიშის განხილვის დრო შემდეგ შეიცვალა და 14:00 საათის ნაცვლად, 10:00 საათით განისაზღვრა<sup>13</sup>. ადგილობრივი მოსახლეობისათვის ანგარიშის განხილვის დროის ცვლილება და განხილვის დილის საათებში გადმოტანა მნიშვნელოვნად აბრკოლებდა საჯარო განხილვაზე დასწრების შესაძლებლობას, ვინაიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობა დასახლებული არეალიდან საკმაოდ შორსაა. მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილმა მაინც მოახერხა საჯარო განხილვაზე დასწრება. თუმცა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში გამართულ საჯარო განხილვაზე მისული ადგილობრივი მოსახლეობის რელევანტური და კრიტიკული შეკითხვები უმეტეს შემთხვევაში, პასუხგაუცემელი დარჩა<sup>14</sup>. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, საჯარო განხილვა საპროექტო არეალიდან ყველაზე ახლოს მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში უნდა ჩატარდეს<sup>15</sup>. ამ რეგულაციის მიზანია დაინტერესებული პირებისა და ადგილობრივი მაცხოვრებლების პროცესში ჩართულობის მაქსიმალური უზრუნველყოფა.

როგორც საერთაშორისო სტანდარტების, ისე შიდასაკანონმდებლო რეგულირების შესაბამისად, დაინტერესებული პირებისა და საზოგადოების რეალური ჩართულობის გარეშე ჩატარებული საჯარო განხილვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. საგულისხმოა, რომ ნამახვანჭესის კასკადის მშენებლობასთან დაკავშირებით, ადგილობრივ მოსახლეობას არ მიეწოდა სრული და ამომწურავი ინფორმაცია კომპანიის მიერ წარდგენილი კვლევების, განსახორციელებელი სამუშაოების ზეგავლენის, შესაძლო საფრთხეებისა და რისკების თაობაზე. შესაბამისად, ნამახვანჭესის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების სათანადო ჩართულობა უზრუნველყოფილი არ ყოფილა. ევროკავშირის გარემოსდაცვითი სამართლის<sup>16</sup> და ორჰუსის კონვენციის<sup>17</sup> შესაბამისად, საქართველოში 2018 წლიდან მოქმედი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი განსაზღვრავს, რომ გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერ სტადიაზე სამინისტრო ვალდებულია, უზრუნველყოს საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების მაქსიმალური ინფორმირება და მათი ჩართულობა. კოდექსის თანახმად, საჯარო განხილვა გამჭვირვალედ, საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფით უნდა განხორციელდეს. მხოლოდ მსგავსი სახით ჩატარებული საჯარო განხილვა წარმოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. საბოლოო ჯამში, საჯარო განხილვის პროცედურის დარღვევა, დაინტერესებული პირების უფლების შეზღუდვა და საზოგადოებისათვის არასრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების

<sup>13</sup> იხ. საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია. 02.09.2019 წ.: <https://bit.ly/3ydtjiXn>.

<sup>14</sup> იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება „ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის კანონდარღვევით ჩატარების შესახებ“. 23.12.2019 წ.: <https://bit.ly/3w4OeaD>.

<sup>15</sup> იხ. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მუხლი 9(3) და 12(5). <https://bit.ly/2SBSHnv>.

<sup>16</sup> იხ. Environmental Impact Assessment EIA Directive: <https://ec.europa.eu/environment/eia/eia-legalcontext.htm>

<sup>17</sup> იხ. „გარემოსდაცვითი საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენცია: <https://bit.ly/3dvEdwS>.



პროცედურული ნაწილის მნიშვნელოვან დარღვევას წარმოადგენს და შეიძლება, მისი გაუმჯობესების საფუძველიც გახდეს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დიდი ხნის განმავლობაში არ ასაჯაროებდა ჯერ კიდევ 2019 წლის აპრილში ნამახვანჭესის კასკადის პროექტის თაობაზე საქართველოს მთავრობასა და პროექტის განმახორციელებელ კომპანიას - შპს „ენკა რინიუებლზს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას. შესაბამისად, საზოგადოებისთვის უცნობი იყო ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვნად მიჩნეული პროექტის შესახებ მთავრობასა და კომპანიას შორის არსებული შეთანხმების შინაარსი. ხელშეკრულება მხოლოდ 2021 წლის 7 თებერვალს გასაჯაროვდა, როცა გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება ifact-მა ხელშეკრულება მოიპოვა და გამოაქვეყნა<sup>18</sup>.

### **შეკრების თავისუფლებაში ჩარევა და კარვების დაშლის სამართლებრივი შეფასება**

შეკრების თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობისა და მისი სრულფასოვანი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა<sup>19</sup>. უკანასკნელ წლებში უფლების განხორციელების რეალიზაციის კუთხით მიმდინარე მონიტორინგის შედეგად, პრობლემურ საკითხებად გამოიკვეთა სამართალდამცავთა მხრიდან შეკრების მსვლელობისას დროებითი კონსტრუქციების განთავსების შესაძლებლობის შეზღუდვა და შეკრების არასათანადო და არაეფექტიანი მართვა, აგრეთვე - სპონტანური აქციების ფარგლებში ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის შეუძლებლობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზი<sup>20</sup>. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ გამოიკვეთა ნამახვანჭესის კასკადის საწინააღმდეგო სოციალური პროტესტის აქციებთან მიმართებით. საკმაოდ მრავალფეროვანია ის ინსტრუმენტები, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა თუ აქტივისტები ნამახვანჭესის მშენებლობის განხორციელების წინააღმდეგ იყენებენ. დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, ეს შეიძლება იყოს ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე სამართლებრივი დავების წარმოება, ტრადიციული ინსტრუმენტებით კოლექტიური წინააღმდეგობის ორგანიზება და ერთობის შენარჩუნება, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობა და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა აქტივისტური ჯგუფისა თუ არაფორმალური გაერთიანების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წინააღმდეგობის გრძელვადიან პროცესში კოლექტიურობის, ერთიანობის შენარჩუნება წარმოადგენს, პრაქტიკაში, ამ მხრივ, საინტერესო გამოცდილება გვხვდება რიონის ხეობაში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა წინააღმდეგობისა და პროტესტის ერთგულებას დიდი ხანია, ინარჩუნებს, რაც უშუალოდ რიონის ხეობასა თუ პოლიტიკურ ცენტრში<sup>21</sup> საპროტესტო აქციების ორგანიზებაში გამოიხატება. ასევე, აქტიურად გვხვდება ადვოკატირების ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა

<sup>18</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3dupZMv>.

<sup>19</sup> იხ. Article 22, ICCPR, and Article 11, ECHR. See also Dragan Golubovic, "Freedom of association in the case law of the European Court of Human Rights", 17(7-8) International Journal of Human Rights Vol. 17, No 7-8, 2013, pp. 758-771; Ashutosh Bhagwat, "Associational Speech", Yale Law Journal Vol. 120, No.5, 2011, pp.978-1277.

<sup>20</sup> იხ. „აკრძალული უფლება - დროებითი კონსტრუქციებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენების საკანონმდებლო სტანდარტები და პრაქტიკაში რეალიზაციის პრობლემები“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021 წ.: <https://bit.ly/3jtKddi>.

<sup>21</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/363nzR2>; <https://bit.ly/3x75Fc7>.

- პეტიცია და მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება<sup>22</sup>. ამასთან, ნამახვანჭვის წინააღმდეგ მიმართულ აქციებთან დაკავშირებით, ყველაზე გავრცელებულ წინააღმდეგობის ფორმას უშუალოდ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საპროტესტო აქციების გამართვა წარმოადგენს.

რიონის ხეობის მაცხოვრებლები ნამახვანჭვის კასკადის მშენებლობას სხვადასხვა გზით აპროტესტებენ<sup>23</sup>. ადგილობრივმა მოსახლეობამ და პროტესტის მხარდამჭერებმა ადგილზე მორიგეობაც კი დააწესეს<sup>24</sup>. 2020 წლის 14 ნოემბერს სოფელ ჟონეთში გამართული აქციის მონაწილეები სამართალდამცავებმა ფიზიკური ძალის გამოყენებით გადაიყვანეს სამანქანო გზიდან, რასაც დაპირისპირება მოჰყვა<sup>25</sup>. მანამდე, რამდენიმე საპროტესტო აქცია ქალაქ ქუთაისშიც გაიმართა<sup>26</sup>. ქუთაისი შემდეგ მასშტაბური საპროტესტო აქციების ცენტრი გახდა. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების მიმართვის საფუძველზე გრძელდება სასამართლო დავა პროექტზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით<sup>27</sup>.

სამწუხაროდ, საპროტესტო აქციების გამოცდილებაზე საუბრისას, არაერთი ეპიზოდი შეიძლება გამოიყოს, რა დროსაც ჰესის მშენებლობის მიმართ წინააღმდეგობის გამო ხელისუფლებამ გამოიყენა რეპრესიული საპოლიციო ძალა.

### სოფელ ჟონეთში გამართული აქცია

2020 წლის 14 ნოემბერს, ნამახვანჭვის კასკადის მშენებლობის წინააღმდეგ სოფელ ჟონეთში აქცია გაიმართა<sup>28</sup>. აქციის მონაწილეებმა სოფელ ჟონეთში გამავალი, ქუთაისისა და ლეჩხუმის მხარის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა რამდენიმე საათით გადაკეტეს. მათი მოქმედებები არ გაცდენია მშვიდობიანი შეკრების ფარგლებს. ადგილობრივი მოსახლეობა ითხოვდა სამშენებლო სამუშაოების შეჩერებას. საპროტესტო აქციის მონაწილეთა განცხადებით, მშენებლობა მიმდინარეობდა კომპანიისა და სახელწიფოს მიერ გარემოზე ჰესების ზემოქმედებისა და რისკების გამოკვლევის გარეშე. დემონსტრანტები სწორედ ჰესებიდან მომდინარე რისკებისა და მათი შეუფასებლობის გამო გამოხატავდნენ პროტესტს და მოითხოვდნენ ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებთან შეხვედრას. დიალოგის გამართვის ნაცვლად, ხელისუფლებამ აქცია პოლიციის გამოყენებით დაშალა<sup>29</sup>. იმის გათვალისწინებით, რომ აქციის მონაწილეთა ნაწილი ერთმანეთზე ჯაჭვებით იყო გადაბმული, აქციის დაშლისას ბევრი მათგანი წაიქცა და პოლიციელთა მიერ აქციის ადგილიდან გაყვანისას, დაზიანებები მიიღო. შედეგად, რამდენიმე დემონსტრანტი დაშავდა<sup>30</sup>. აქციის დაშლასთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ სახელმწიფომ შემხვედრი ნაბიჯები უნდა გადადგას<sup>31</sup>. განცხადება გაავრცელა ადამიანის უფლებათა ცენტრმა და მოუწოდა ხელისუფლებას, შეწყვიტოს რეპრესიული მეთოდების გამოყენება მშვიდობიანი და სამართლიანი პროტესტის წინააღმდეგ და დაუყოვნებლივ

<sup>22</sup> იხ. პეტიცია: გადავარჩინოთ რიონი. <https://bit.ly/3drtan6>.

<sup>23</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3ylUAEj>.

<sup>24</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3x7Fgut>.

<sup>25</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3x9JGBh>.

<sup>26</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2U85Sgp>; <https://bit.ly/3jtJwk1>.

<sup>27</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3y7hclm>.

<sup>28</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3q4ogm2>.

<sup>29</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3q4ogm2>.

<sup>30</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2JgnZuY>; <https://bit.ly/3q4ogm2>.

<sup>31</sup> იხ. სახალხო დამცველის განცხადება: <https://bit.ly/3hojADK>.

შექმნას საზოგადოებასთან და დარგის სპეციალისტებთან განგრძობადი და რეალური დიალოგის ფორმატი<sup>32</sup>.

### ✓ არსებობდა თუ არა შეკრების დაშლის სამართლებრივი საფუძველი

უფლების სუბიექტის მიერ შეკრების ფორმის, დროის და ადგილის არჩევის უფლება აღიარებულია საერთაშორისო სტანდარტით<sup>33</sup> და საქართველოს კონსტიტუციით<sup>34</sup>. ეს შესაძლებელს ხდის შეკრების მიმდინარეობისას კონკრეტული აზრის გამოხატვას როგორც ვერბალური, ისე არავერბალური კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმით<sup>35</sup>.

ასევე, ამ უფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია შეკრების ადგილმდებარეობის არჩევის თავისუფლება, რასაც განსაკუთრებული დაცვით ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ადგილი/დაწესებულება პროტესტის ობიექტია ან კონკრეტულ ლოკაციაზე შეხვედრების გამოხატვა ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა აზრისა თუ პროტესტის ადრესატამდე მისაღწევად<sup>36</sup>. შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, შეკრების გამართვის ფორმის, დროის და ადგილის არჩევის შეზღუდვა ხელისუფლებას მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ ჩარევა საფუძველს არ აცლის აზრს, რომელსაც კონკრეტული შეკრება ატარებს<sup>37</sup>. მსგავს მიდგომას ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც, რომლის თანახმადაც, როდესაც შეკრების ჩატარების დრო და ადგილი მონაწილეებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ის პირდაპირ ებმის შეკრების მიზანს და მისმა ცვლილებამ შესაძლოა, გამოიწვიოს უფლების დარღვევა<sup>38</sup>. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ის იზღუდება სხვადასხვა დაწესებულებათა ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველსაყოფად<sup>39</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულია მშვიდობიანი შეკრების უფლება<sup>40</sup>. მშვიდობიანი შეკრება გულისხმობს ისეთ შეკრება-მანიფესტაციასაც, რომელიც შეიძლება მიუღებელი ან შემაწუხებელი იყოს იმ პირთათვის, რომლებიც გარკვეული იდეის ან შეხედულების მოწინააღმდეგენი არიან. დაცვის სფეროში ექცევა ასევე ისეთი შეკრებაც, რომელიც მესამე პირებს ცალკეულ დაბრკოლებებს უქმნის ან ხელს უშლის გარკვეული ქმედებების განხორციელებაში. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მშვიდობიანად

<sup>32</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/3ti6vRj>.

<sup>33</sup> იხ. ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის გზამკვლევი, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, პირველი გამოცემა, 31 დეკემბერი 2019, პარ. 20.

<sup>34</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, II, პარ.: <https://bit.ly/3qOgSvT>.

<sup>35</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 4 ივლისის №1/5/1271 გადაწყვეტილება საქმეზე „ბესიკ ქათამაძე, დავით მჭავანაძე და ილია მაღაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 7. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3yaCxAQ>.

<sup>36</sup> იხ. European Commission for Democracy through law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, paras 22, 147. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3hiVTwA>.

<sup>37</sup> იხ. ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 99.

<sup>38</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, the United Macedonian Organisation Ilinden and Ivanov v. Bulgaria, პარ. 103; აგრეთვე, იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე, Lashmankin and Others v. Russia, პარ. 405.: <https://bit.ly/3qAaEPU>. ასევე, იხ. European Commission for Democracy through law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, para 82.: <https://bit.ly/3hfX9R2>.

<sup>39</sup> იხ. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9, პუნქტი 1.: <https://bit.ly/3yeel0r>.

<sup>40</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21: <https://bit.ly/3qDafw5>.



არ ჩაითვლება შეკრება/მანიფესტაცია, რომლის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს განზრახული აქვთ ძალადობის გამოყენება. ამა თუ იმ აქციის ცალკეული მონაწილის სპორადული/ცალკეული ძალადობრივი ქმედება შეკრებას/მანიფესტაციას არ უცვლის ბუნებას და შეკრება/მანიფესტაცია ავტომატურად არ ხდება უკანონო<sup>41</sup>.

საჯარო ცხოვრებაში მანიფესტაციის უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობის გამო, სახელმწიფოს ეკისრება მთელი რიგი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს და არ დაუშვას მანიფესტაციის უფლებაში თვითნებური და უკანონო ჩარევა<sup>42</sup>. ამ ვალდებულებების ნაწილია, მათ შორის ის, რომ ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა, უნდა მიმართონ ყველა აუცილებელ ზომას, *inter alia*, გამოიყენონ დიალოგის და მოლაპარაკების რესურსები, რათა თავიდან აიცილონ შეკრების შეწყვეტა და სხვა თანმდევი შედეგები. შეკრებების დაშლა უნდა წარმოადგენდეს უფლების შეზღუდვის უკანასკნელ საშუალებას<sup>43</sup>.

*ზემოაღნიშნულ სტანდარტებზე დაყრდნობით, არ არსებობდა სოფელ ჟონეთში 2020 წლის 14 ნოემბერს გამართული მშვიდობიანი აქციის დაშლის საფუძველი. მშვიდობიანი შეკრების დაშლა უნდა მოხდეს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის საფუძველზე. საკითხი, თუ რომელი ინტერესი გადაწონის კონკრეტულ შემთხვევაში, ამ შემთხვევის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს და არა ბლანკეტური მიდგომით. ბლანკეტურია მიდგომა, როდესაც სახელმწიფოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, ნებისმიერი აქცია დაშალოს ნებისმიერ ადგილზე, ინდივიდუალური გარემოებების შეფასების, საჯარო და კერძო ინტერესების დაპირისპირებისა და შესაბამისი განსჯის გარეშე, თუ რომელი ინტერესია უპირატესი კონკრეტულ შემთხვევაში.*

სახელმწიფოს მიერ 14 ნოემბერს სოფელ ჟონეთში მშვიდობიანი აქციის დაშლა მშვიდობიანი შეკრების ბლანკეტური შეზღუდვის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენდა.

**✓ იყო თუ არა შეკრების დაშლისთვის გამოყენებული საპოლიციო ძალა და საშუალებები კანონიერი და პროპორციული**

საქართველოს კონსტიტუცია ხელისუფლების ორგანოებს ანიჭებს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების განხორციელებაში ჩარევის უფლებას, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო<sup>44</sup>. კანონის მოთხოვნათა დარღვევით გზის სავალი ნაწილის გადაკეტვა არ წარმოადგენს შეკრების/მანიფესტაციის დაუყოვნებლივ შეწყვეტის საფუძველს - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს კომპეტენცია შემოიფარგლება მხოლოდ ისეთი ქმედებებით, რაც აუცილებელია შეკრების კანონთან შესაბამისობაში მოყვანისთვის. შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტის უფლებამოსილება არ წარმოიშობა მაშინაც, როდესაც არამასობრივად ირღვევა შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეებზე დაკისრებული ვალდებულებები<sup>45</sup>. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შეკრება მხოლოდ მას შემდეგ უნდა დაიშალოს, რაც სამართალდამცავები ყველა გონივრულ ღონისძიებას

<sup>41</sup> იხ. OSCE/ODIHR – Venice Commission Guidelines on Freedom of Peaceful Assembly (2nd Edition), European Commission for Democracy Through Law, Venice, 4 June 2010, Section B, § 26.

<sup>42</sup> იხ. OSCE/ODIHR, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, SECOND EDITION, §§ 165-166.: <https://bit.ly/3ycJ6m6>.

<sup>43</sup> იქვე: §§ 165-166.

<sup>44</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 21.: <https://bit.ly/3qDafw5>.

<sup>45</sup> **შენიშვნა: იგულისხმება - „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი და მე-13 მუხლის პირველი, მეექვსე პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები და აკრძალვები:** <https://bit.ly/3yeel0r>.

მიმართავენ შეკრების დასაცავად და ხელშესაწყობად, ასევე, შეკრება არ უნდა დაიშალოს, თუ სახეზე არ არის ძალადობის მყისიერი საფრთხე<sup>46</sup>.

ორგანიზატორს ეკისრება ვალდებულება, დადგენილი წესით, უზრუნველყოს შეკრების მონაწილეთა მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა და შეკრების მშვიდობიანად წარმართვა. კერძოდ, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როდესაც შეკრების მონაწილეები არღვევენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს, გაფრთხილების მიღებიდან უახლოესი 15 წუთის განმავლობაში, ორგანიზატორი ვალდებულია, მათ მოუწოდოს დარღვევის აღმოფხვრისკენ და საამისოდ მიმართოს ყველა გონივრულ ქმედებას<sup>47</sup>.

2020 წლის 14 ნოემბრის აქციაზე სახელმწიფომ მშვიდობიანი აქციის მონაწილეები ყოველგვარი გაფრთხილებისა და მოლაპარაკების მცდელობის გარეშე დაშალა. მათი განცხადებით, აქციის დაშლის მიზანს წარმოადგენდა ქუთაისისა და ლეჩხუმის მხარის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე სატრანსპორტო მოძრაობის აღდგენა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს საავტომობილო გზა არ წარმოადგენს გადატვირთულ სატრანსპორტო კვანძს. ასევე, არ იკვეთებოდა საავტომობილო გზაზე სატრანსპორტო მოძრაობის სასწრაფოდ აღდგენის ინტერესი. ამასთან, აქციაზე არ გამოკვეთილა არცერთი კანონსაწინააღმდეგო ქმედება.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, შეკრების დროს გზის გადაკეტვის გამო აქციის დაშლის პროპორციულობის შეფასებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს, ჰქონდათ თუ არა აქციის მონაწილეებს საჯარო სივრცეში საკუთარი პროტესტის გამოხატვის სხვა შესაძლებლობები. მოცემულ შემთხვევაში, აქცია გაიმართა წყალტუბოს რაიონის სოფელ ჟონეთში, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, მეზობელი სოფლების ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ერთად. ადამიანთა ამ ჯგუფისთვის მწირია საჯარო სივრცეები, სადაც შეძლებდნენ მწვავე სოციალური მნიშვნელობის საკითხზე საკუთარი პროტესტის გამოხატვას ისე, რომ ეს პროტესტი რეალურად მიწვდეს საზოგადოებას და აღქმადი იყოს მის მიერ. სოფელ ჟონეთსა და მეზობელ სოფლებში, სოფელში გამავალი გზის გარდა, ფაქტობრივად, არ არსებობს საჯარო სივრცე, სადაც პირთა საპროტესტო შეკრება ფართო საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობს<sup>48</sup>. შეკრების არსი საპროტესტო მესიჯის სწორედ ფართო საზოგადოებისადმი მიტანასა და მისი ყურადღების მიპყრობაში მდგომარეობს და არა მხოლოდ ლოკალურ დონეზე, საზოგადოების ვიწრო ჯგუფთან გამოხატვაში. შესაბამისად, შეკრების უფლების ასეთი ფორმით შეზღუდვა არაპროპორციულია, რაც იმთავითვე არალეგიტიმურს ხდის საპოლიციო ძალის გამოყენებას აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ.

*მშვიდობიანი პროტესტის ძალისმიერი გზით ჩახშობა, სამწუხაროდ, მიუთითებს, რომ ხელისუფლებას არ აინტერესებს ადგილობრივ მოსახლეობასთან რეალური, შედეგზე ორიენტირებული მოლაპარაკებების წარმოება და მათი პოზიციის მოსმენა.*

<sup>46</sup> იხ. ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR) და ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია); შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, 2010, პარ. 165; პარ. 166.

<sup>47</sup> იხ. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3, „ე“ ქვეპუნქტი: <https://bit.ly/3yeel0r>.

<sup>48</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/3iiH5YN>.

## სოფელ ნამოხვანში გამართული აქცია

2021 წლის 7 თებერვალს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნამოხვანში, „ნამახვანის დიდი ჰესების კასკადის“ სამშენებლო სამუშაოების აღკვეთის მოთხოვნით გამართულ მშვიდობიან საპროტესტო აქციაზე მონაწილეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან შეიკრიბნენ. აქცია წინასწარ დაანონსდა სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის - ტელევიზიითა და სოციალური მედიის მეშვეობით.

გავრცელებული ინფორმაციით, აქცია 13:00 საათზე უნდა დაწყებულიყო. თუმცა, აქციაზე შეკრებილთა, ასევე, სამართალდამცავთა დიდი რაოდენობისა და მანქანათა გრძელი კოლონის გამო, გართულდა დანიშნულების ადგილას მონაწილეთა დროულად მისვლა. ამიტომ აქცია დაიწყო 13:49 საათზე. შეკრებილებმა, სამანქანო გზიდან გადაინაცვლეს უშუალოდ მდინარე რიონის მიმდებარედ. სამართალდამცავთა რამდენიმეკაციანი ჯგუფები აქციის მონაწილეთაგან შორიანხლოს იმყოფებოდნენ.

ნამოხვანში შეკრებილებს სურდათ, მდინარე რიონის მიმდებარედ გაეშალათ კარავი ღამის გასათენებლად. თავდაპირველად, ორგანიზატორებს სამართალდამცველები არ აძლევდნენ უფლებას, ადგილზე მიეტანათ შესაბამისი აღჭურვილობა. თუმცა, მოგვიანებით, მშვიდობიანი გზით - მოლაპარაკებით, აქციის მონაწილეებმა კარავი გაშალეს სასურველ ადგილას.

მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოლიციის თანამშრომლებმა ორ ავტომობილში ჩაატარეს ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად, ერთ-ერთი მანქანიდან ამოიღეს რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო მეორედან - „ბეისბოლის ჯოხი და ბლაგვი საგანი“<sup>49</sup>.

აქციაზე შეკრებილთა მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა, სოფელ ნამოხვანში ჰესის მშენებლობის შეწყვეტა და კომპანია, „ენკას“ მიერ მდინარე რიონის ხეობის დატოვება. აქციის მონაწილეთა რაოდენობა აღწევდა დაახლოებით, 500 ადამიანს. შეკრებილთა შორის იყვნენ ადგილობრივი და სხვადასხვა რეგიონიდან ჩასული მოსახლეობა, სასულიერო პირები, სამოქალაქო აქტივისტები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

მონიტორინგი და მედიის გადაადგილება, ინფორმაციის გაშუქება ხდებოდა ყოველგვარი შეფერხების გარეშე. გაჟღერდა ინფორმაცია, რომ სამართალდამცველები დანიშნულების ადგილას მიმავალ ავტომანქანებს განუჩევლად ჩხრეკდნენ. ასეთი ფაქტი უშუალოდ ადგილზე ჩასული ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტ-მონიტორების მიერ არ დაფიქსირებულა.

საპროტესტო აქციაზე სამართალდამცველებსა და შეკრებილ აქტივისტებს შორის არ მომხდარა ფიზიკური დაპირისპირება. ორგანიზატორებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ ემიჯნებიან ძალადობრივი ფორმით პროტესტის გამოხატვას, ასევე - აქციაზე ნებისმიერი, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის განმცხადებლის როლში გამოსვლას, რათა თავიდან აიცილონ ყოველგვარი პოლიტიკური კონტექსტი.

აქციაზე მობილიზებული იყო სამართალდამცველთა დიდი რაოდენობა (დაახლოებით 100-მდე პირი). არ შეინიშნებოდა სპეციალური ინვენტარი. პოლიციელები რამდენიმეკაციან

<sup>49</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3qAraPQ>.



ჯგუფებად იდგნენ შეკრების ადგილის სხვადასხვა ლოკაციაზე. სატრანსპორტო საშუალებად გამოყენებული ჰქონდათ მიკროავტობუსი და მსუბუქი ავტომობილი.

აქციის ორგანიზატორებმა, მდინარე რიონის მიმდებარედ, მონაწილეთა დახმარებით გაშალეს კარავი. მართალია, თავდაპირველად პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობას, მაგრამ საბოლოოდ ეს წინააღმდეგობა აღმოიფხვრა. მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ისინი განაგრძობდნენ პროტესტს და კარავში გაატარებდნენ მორიგ დღეს (106-ე დღე-ღამე).

აქციაზე გაჟღერდა შემდეგი მოთხოვნები: 1) კომპანია „ენკამ“ უნდა დატოვოს მდინარე რიონის ხეობა; 2) შეწყდეს ჰესის მშენებლობა; 3) გაიჟღერა, ასევე, ეკონომიკის მინისტრის ნათია თურნავას მიერ თანამდებობის დატოვების მოთხოვნამაც, მისი განცხადების გამო<sup>50</sup>.

### სოფელ გუმათში გამართული აქცია

2021 წლის 12 აპრილს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმათში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, „ნამახვანის დიდი ჰესების კასკადის“ სამშენებლო სამუშაოების აღკვეთისა და რიონის ხეობაში დაბრუნების უფლების მოთხოვნით შეიკრიბა მოსახლეობა, მშვიდობიანი საპროტესტო აქციის გამართვის მიზნით. აქცია წინასწარ დაანონსდა სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის - ტელევიზიით და სოციალური მედიის მეშვეობით. ეს აქცია, თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, უნდა გამართულიყო თბილისში, მთავრობის კანცელარიასთან, 16:00 საათზე. მას შემდეგ, რაც მდინარე რიონში პიროვნებამ შეცურა და გაუჩინარდა, პოლიციამ რიონის მცველების კარვები დაშალა, რის მიზეზადაც ურთიერთგამომრიცხავ გარემოებებს უთითებდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, კარვების დაშლის აუცილებლობა გამომდინარეობდა მდინარე რიონის ადიდებით და მიმდებარე ტერიტორიის სავარაუდო დატბორვით, ხოლო ნაწილი - მიმდინარე სამძებრო-სამაშველო სამუშაოებს ასახელებდა. საბოლოოდ კი, აქციის ორგანიზატორებმა მიიღეს გადაწყვეტილება აქციის სოფელ გუმათში ჩატარების თაობაზე.

მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2021 წლის 29 აპრილს, მდ. რიონში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს, რომელიც ის მამაკაცი აღმოჩნდა, ვისაც რამდენიმე დღე ეძებდნენ<sup>51</sup>.

აქციის მონაწილეებს სურდათ სოფელ ნამოხვანში შესვლა, რის უფლებასაც სამართალდამცველები არ აძლევდნენ. რამდენჯერმე სამართალდამცველები და აქციის მონაწილეები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ<sup>52</sup>. ერთ-ერთ ასეთ დაპირისპირებას ადგილი ჰქონდა კომპანია „ენკას“ ოფისთან. აქტივისტები ითხოვდნენ რიონის ხეობაში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შეჩერებას და საკუთარ მიწაზე დაბრუნებას. პროტესტი მოქალაქეებმა მშვიდობიანი ჟესტით - ხელებაწეული ფორმით პოლიციის კორდონთან მისვლით გამოხატეს. აქციის პარალელურად, რიონის ხეობაში სამართალდამცველმა ორგანოებმა მოახდინეს წყლის ჭავლის მანქანებისა და სპეც. დანიშნულების რაზმების მობილიზება.

<sup>50</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრი, სოფელ ნამოხვანში გამართული საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში. ანგარიში მომზადებულია: 07.02.2021.

<sup>51</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3hqtwy1>; <https://bit.ly/2VaF0ga>.

<sup>52</sup> იხ. დაპირისპირების კადრები სრულად: <https://bit.ly/3qCxFlb>.

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, სულხან თამაზაშვილმა განცხადა, რომ მოხდებოდა ყველა იმ პირის იდენტიფიცირება და ყველას დაეკისრებოდა სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ვინც სამართალდამცველებს მიაყენებდა შეურაცხყოფას ან გაუწევდა წინააღმდეგობას. აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ მიზანმიმართულად ხდებოდა მათთვის სახელის შებღალვა, რაც გამოიხატა პოლიციის მიერ კარვების აღების დროს არყისა და ლუდის ბოთლების აქტივისტებისათვის მიკუთვნებაში („ჩაღებაში“). აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ვარლამ გოლეთიანმა განაცხადა, რომ ისინი საჭიროების შემთხვევაში გადაინაცვლებდნენ დედაქალაქში და არ დაიშლებოდნენ, ვიდრე მათი მოთხოვნა სრულად არ შესრულდებოდა<sup>53</sup>. აქტივისტებმა მოაწყვეს მსვლელობა ქუთაისიდან ხეობისკენ<sup>54</sup>.

აქციაზე შეკრებილთა მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა სოფელ ნამოხვანში ჰესის მშენებლობის შეწყვეტა და კომპანია, „ენკას“ მიერ მდინარე რიონის ხეობის დატოვება, ასევე - „რიონის მცველების“ რიონის ხეობაში დაბრუნება და პროტესტის მშვიდობიანი გაგრძელების უფლების მინიჭება.

წესრიგის დასაცავად, უშუალოდ შეკრების ადგილას, სხვადასხვა ლოკაციაზე, მობილიზებული იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები. ინფორმაციის გაშუქება ხდებოდა ყოველგვარი შეფერხების გარეშე. საპროტესტო აქციაზე, სამართალდამცავებსა და შეკრებილ აქტივისტებს შორის, რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი ფიზიკურ დაპირისპირებას. კომპანია „ენკას“ ოფისთან შექმნილი კონფლიქტური სიტუაცია ადგილზევე განიმუხტა<sup>55</sup>. აქციის მონაწილეებმა გადაკეტეს საავტომობილო გზა და ითხოვდნენ სოფელ ნამოხვანში შეშვებას<sup>56</sup>. აქტივისტთა ნაწილმა ავტომსვლელობა გამართეს ქუთაისის მიმართულებით. ნაწილი კი გუმათში დარჩა. აქციაზე მობილიზებული იყო სამართალდამცველთა დიდი რაოდენობა. წყლის ჭავლის მანქანები და სპეც. დანიშნულების რაზმები არ შეინიშნებოდა<sup>57</sup>.

ხალხისა და ავტომობილთა სიმრავლიდან გამომდინარე, გართულებული იყო გადაადგილება და ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სოფელ ნამოხვანში შემავალი ორივე გზა ჩაკეტილი იყო პოლიციელების მიერ<sup>58</sup>.

## 24 მაისის აქცია, თბილისი

„რიონის ხეობის მცველებმა“, რომლებიც ნამახვანჰესის კასკადის მშენებლობას აპროტესტებენ, ქალაქ თბილისში 2021 წლის 23 მაისისთვის რამდენიმე დღით ადრე დააანონსეს მასშტაბური საპროტესტო აქცია. 23 მაისს თბილისში ორგანიზებული აქციის პირველ დღეს აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ხელისუფლებას აძლევენ ვადას 24 მაისის 12 საათამდე მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად:

<sup>53</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3h7CP5O>.

<sup>54</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრი, სოფელ გუმათში გამართული საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში. ანგარიში მომზადებულია: 12.04.2021.

<sup>55</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3wR82zL>.

<sup>56</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3uS46gB>.

<sup>57</sup> იხ. უწყვეტი პირდაპირი ეთერი: <https://bit.ly/364wC44>.

<sup>58</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრი, სოფელ გუმათში გამართული საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში. ანგარიში მომზადებულია: 12.04.2021.

- გაწყდეს 2019 წ. 25 აპრილს ხელმოწერილი ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და კომპანია „ენკა რინიუებლზს“ შორის მდინარე რიონზე დაგეგმილი ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობის შესახებ და კომპანიამ დატოვოს რიონის ხეობა.

- გაუქმდეს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ნოემბრის #2405 განკარგულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მპს "ენკა რინიუებლზისათვის" აღნაგობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“.

- გაუქმდეს ნამახვანის ჰესების კასკადზე 2015 წელს გაცემული სამშენებლო ნებართვა და ყველა სხვა მასზე დაფუძნებული დოკუმენტი.

- თანამდებობიდან გადადგეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა<sup>59</sup>.

აქციის ორგანიზატორებმა ქალაქ თბილისის მოსახლეობას მოუწოდეს, 24 მაისს 12:00 საათისთვის შეკრებილიყვნენ რესპუბლიკის მოედანზე, სადაც გამოაცხადებდნენ შემდგომი მოქმედებების გეგმას, იმის მიხედვით, ხელისუფლებისგან რა პასუხს მიიღებდნენ.

24 მაისს 12:00 საათზე რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილი იყო ათასამდე მოქალაქე. რესპუბლიკის მოედნის ნაწილი ეკავა დაახლოებით 50-მდე კარავს, სადაც ღამე გაათიეს აქციის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა.

12:00 საათზე, სავარაუდოდ იმის გამო, რომ აქციაზე მოსალოდნელზე ცოტა ადამიანი შეიკრიბა, ორგანიზატორებმა მიტინგი არ დაიწყეს. არც ხელისუფლებისგან მიღებული პასუხი გააცნეს შეკრებილებს. ხალხის სიმცირის გამო რესპუბლიკის მოედანზე ავტომანქანების მოძრაობა არ იყო ბოლომდე გადაკეტილი. მოედნის ნახევარი შემოსაზღვრული იყო დროებითი ბარიერებით (სავარაუდოდ პოლიციის მიერ). მოედნის ნახევარზე კი ავტომანქანები მოძრაობდნენ. აქციის მიმდებარედ რამდენიმე ადგილას გაჩერებული იყო საპატრულო პოლიციის ავტომანქანები და პოლიციელთა აქტიურობაც შეინიშნებოდა.

12:10 საათზე შეკრების შუაგულში ატყდა ჩოჩქოლი. ტელევიზიების ჟურნალისტები და ოპერატორები შემოეხვივნენ ორ ახალგაზრდას, რომლებიც შეკრებას გამოეყვნენ და ჩქარი ნაბიჯით გაემართნენ რუსთაველის გამზირისკენ. ამ დროს, აქციის ორგანიზატორმა, ვარლამ გოლეთიანმა ხმის გამაძლიერებლის გამოყენებით მიმართა შეკრებილებს და პოლიციას, რომ ინციდენტი წარმოადგენდა სავარაუდოდ პროვოკაციას. მან შეკრებილებს მოუწოდა, არ მიექციათ ყურადღება ასეთი პროვოკაციებისთვის, ხოლო პოლიციას მოუწოდა, მიეღოთ კანონით გათვალისწინებული ზომები, განემუხტათ ვითარება და აღეკვეთათ ყოველგვარი უკანონობა.

როგორც გაირკვა, ორი ახალგაზრდა აღმოჩნდა მოძრაობა „სირცხვილიას“ აქტივისტები - ზურა ბერძენიშვილი და სალომე ბარკერი. სალომე ბარკერს ეკეთა ლგბტ სიმბოლიკიანი სამკლავური, რომელსაც იგი ორი წელიწადია ატარებს<sup>60</sup>.

<sup>59</sup> მოთხოვნები გამოქვეყნდა მედიით: <https://bit.ly/3qAZ1rY>.

<sup>60</sup> იხ. პოსტი ადამიანის უფლებათა ცენტრის ვებგვერდზე: <https://bit.ly/3y9UTld>.

როგორც „სირცხვილიას“ აქტივისტები აცხადებდნენ, ისინი აქციაზე „რიონის ხეობის მცველების“ მხარდასაჭერად მივიდნენ, მაგრამ ჰომოფობიური ჯგუფების ლიდერებმა - გურამ და ალექსანდრე ფალავანდიშვილებმა სალომე ბარკერისგან სამკლავურის მოხსნა მოითხოვეს. მას შემდეგ, რაც ბარკერმა სამკლავური არ მოიხსნა, „უმცროსმა ფალავანდიშვილმა“ აგრესიულად მოსთხოვა აქციის დატოვება. მათ გარშემო შეგროვდნენ სხვა აგრესიული ადამიანებიც, რის შემდეგაც „სირცხვილიას“ აქტივისტები გამოერიდნენ აქციას, რომ სიტყვიერი კონფლიქტი ფიზიკურ დაპირისპირებაში არ გადაზრდილიყო. აქტივისტების გარშემო მრავალი ჟურნალისტი იყო შეკრებილი. ისინი იწერდნენ კომენტარებს. პოლიციამ ბერძენიშვილი და ბარკერი გააცილა რესპუბლიკის მოედნის ტერიტორიის ბოლომდე, რის შემდეგაც ისინი წავიდნენ. ჟურნალისტებთან საუბრისას მათ განაცხადეს, რომ სურვილი ჰქონდათ, მონაწილეობა მიეღოთ საპროტესტო აქციაში, მაგრამ გადაწყვეტილება აქციის დატოვების შესახებ იმიტომ მიიღეს, რომ არ სურთ, გაამწვავონ ვითარება. მათივე თქმით, აქციის დატოვება უწევთ იძულებით, ნების საწინააღმდეგოდ.

აქტივისტების წასვლის შემდეგ პოლიციას აღარ გაურკვევია, ფალავანდიშვილების ქმედებები რამდენად იყო კანონიერი და სხვა სახის რეაგირება ინციდენტზე არ მოუხდენია. ალექსანდრე ფალავანდიშვილის და მისი მომხრეების აგრესია „სირცხვილიას“ აქტივისტების მიმართ გადაიღეს აქციაზე მყოფმა ჟურნალისტებმა და შემდგომ კადრები გავრცელდა მედიაშიც. კადრებში ისმის ჰომოფობიური დაჯგუფების წარმომადგენლების მოთხოვნა, რომ აქტივისტებმა მოიხსნან სამკლავური ან დატოვონ აქცია. მათ უწოდებენ პროვოკატორებს. ასევე, ისმის ჟარგონული და სიძულვილის ენის შემცველი ფრაზები.

13:30 საათზე „რიონის ხეობის მცველების“ მიერ ორგანიზებული აქციაზე მიტინგი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. ამ დროისათვის, ასევე, რესპუბლიკის მოედნის ნახევარზე შენარჩუნებული იყო საავტომობილო მოძრაობა. ვარლამ გოლეტიანმა რესპუბლიკის მოედანზე მოწყობილი ავანსცენიდან მიმართა შეკრების მონაწილეებს: „ჩვენი მოძრაობა ემიჯნება ყოველგვარ ძალადობას. ეს არის სახალხო მოძრაობა და აერთიანებს ყველა მოქალაქეს საქართველოში. იმ დაპირისპირებებს, რაც აქ ხდება ძალადობის სახით, ვემიჯნებით“. ამავე დროს, „კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად“, გოლეტიანმა აქციის მონაწილეებს მოუწოდა, რომ აქციაზე თავი შეიკავონ გარკვეული სიმბოლიკის გამომხატველი ნივთების ტარებისგან, გარდა სახელმწიფო სიმბოლიკისა - „მხოლოდ სახელმწიფო სიმბოლიკა დაიშვება ჩვენს აქციებზე და ეს იქნება იმის პრევენცია, რომ არ მოხდეს მსგავსი დაპირისპირებები, ყველამ შევინარჩუნოთ სიმშვიდე და ვაკეთოთ საქმე. ნებისმიერი სახის სხვა სიმბოლიკა, რაც სახელმწიფო სიმბოლიკა არ არის, არ დაიშვება ჩვენს აქციაზე!“

15:30 საათზე აქციის ორგანიზატორებმა დაიწყეს მსვლელობა და გაემართნენ რუსთაველის გამზირისკენ. ფოსტის ძველ შენობასთან რუსთაველის გამზირისკენ მსვლელობას გზა გადაუკეტა პოლიციამ. მსვლელობის მონაწილეები ცოტა ხნით შეჩერდნენ პოლიციის ცოცხალი ჯაჭვის წინ და მოულოდნელად გაემართნენ მარცხნივ, სასტუმრო „რედისონისკენ“ და რეზო თაბუკაშვილის ქუჩისკენ. აქციის ორგანიზატორებმა რუპორით მიმართეს მონაწილეებს, რომ თაბუკაშვილის ქუჩის გავლით მივიდოდნენ იუსტიციის სახლთან, სადაც არის იუსტიციის სამინისტრო.



16:00 საათზე „რიონის ხეობის მცველთა“ დემონსტრაციამ რეზო თაბუკაშვილის ქუჩის გავლით მშრალი ხიდისკენ გადაინაცვლა<sup>61</sup>. თაბუკაშვილის ქუჩაზე მოძრაობა გადაიკეტა. პოლიცია წინ მიუძღოდა აქციას და უზრუნველყოფდა საავტომობილო მოძრაობის შეჩერებას. 16:30 საათზე დემონსტრაციამ ჩაუხვია გია ქანტურიას ქუჩაზე, შემდეგ კი - სოლიკო ვირსალაძის ქუჩის გავლით გადავიდა ზვიად გამსახურდიას სახელობის მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. აქ პოლიცია შეეცადა, ავტომანქანების ნახევარზე შეენარჩუნებინა მოძრაობა, მაგრამ აქციის მონაწილეები სწრაფად გადავიდნენ მაგისტრალზე და პოლიციაც იძულებული გახდა, ავტომანქანების მოძრაობა მთლიანად გაეჩერებინა (16:45 სთ)<sup>62</sup>. 16:50 საათზე დემონსტრაცია გაჩერდა იუსტიციის სახლის წინ, ხიდის ქვეშ, სადაც ვარლამ გოლეტიანმა კვლავ მიმართა სიტყვით აქციის მონაწილეებს.

იუსტიციის სახლთან „რიონის ხეობის მცველთა“ დემონსტრაცია ნახევარი საათით გაჩერდა. მოძრაობის ლიდერებმა სიტყვით მიმართეს აქციის მონაწილეებს და კომენტარები მისცეს მედიას. მედია პირდაპირ ეთერში გადასცემდა აქციას. ამ დროის განმავლობაში სანაპიროზე ავტომანქანების მოძრაობა პარალიზებული იყო. პოლიციის წარმომადგენლები იდგნენ თავისუფლების მოედნისკენ მიმავალ საავტომობილო გზაზე.

17:20 საათზე დემონსტრაცია დაიძრა თავისუფლების მოედნისკენ. პოლიციამ გზა გახსნა და დემონსტრანტებს მისცა უფლება, გადაადგილებულიყვნენ თავისუფლების მოედნისკენ. 17:30 საათზე საპროტესტო აქციის მონაწილეები თავისუფლების მოედანზე შეგროვდნენ. ისევე როგორც სხვა ლოკაციებზე, პოლიციამ აქაც გადაკეტა გზები და შეაჩერა ავტოსატრანსპორტო მოძრაობა. აქციის მონაწილეებმა თავისუფლების მოედნის მცირე მონაკვეთი დაიკავეს. დღის განმავლობაში აქციას ხალხი არ შემატებია.

18:00 საათზე „რიონის ხეობის მცველთა“ საპროტესტო დემონსტრაციამ თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის გამზირზე გადაინაცვლა. მსვლელობის მონაწილეები მივიდნენ დემონსტრაციის დაწყების ადგილზე, რესპუბლიკის მოედანთან ახლოს, რუსთაველის გამზირის ცენტრში და გადაკეტეს დედაქალაქის მთავარი გამზირი<sup>63</sup>.

დღის განმავლობაში მსვლელობისას აქციის მონაწილეები ხაზგასმულად კეტავდნენ ავტომანქანებს, რითაც ცდილობდნენ, შეესრულებინათ თავდაპირველი გეგმა - დედაქალაქის პარალიზება. თუმცა, აქციის მონაწილეების მცირე რაოდენობის გამო, ეს მიზანი ვერ შესრულდა და ავტომანქანების გადაკეტვა მხოლოდ რამდენიმე წუთით ხდებოდა, რის შემდეგაც პოლიცია კვლავ ხსნიდა გზას. საპროტესტო აქცია რესპუბლიკის მოედანს დაახლოებით 20:00 საათზე დაუბრუნდა, სადაც რეგიონებიდან ჩამოსულმა მონაწილეებმა ღამე მოედანზე გაშლილ კარვებში გაათიეს.

აქციის დაწყებისას - 12:00 საათისთვის, თავდაპირველად, შეკრებაზე იმყოფებოდა ათასამდე ადამიანი. დღის განმავლობაში აქციის მონაწილეთა რაოდენობა მერყეობდა და მაქსიმუმ შეიკრიბა 3-4 ათასი ადამიანი. საავტომობილო მოძრაობას პოლიცია აჩერებდა ქალაქში დემონსტრაციის გადაადგილებისას, სხვადასხვა ლოკაციაზე. მშრალ ხიდთან, როდესაც მტკვრის სანაპიროს ერთ-ერთი საკვანძო ავტომანქანის გადაიკეტა, აქციის მონაწილეები ავტომანქანების მძღოლებს მიმართავდნენ, შეერთებოდნენ აქციას. მძღოლები სოლიდარულები იყვნენ აქციისადმი, მაგრამ აქციას არ უერთდებოდნენ.

<sup>61</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ფეისბუკგვერდზე მონიტორის პოსტი: <https://bit.ly/3h7P6an>.

<sup>62</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის ფეისბუკგვერდზე მონიტორის პოსტი: <https://bit.ly/2Trwb0W>.

<sup>63</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ფეისბუკგვერდზე მონიტორის პოსტი: <https://bit.ly/3yd5ZpU>.

მედია აქტიურად აშუქებდა აქციას და ყოველი მნიშვნელოვანი გამოსვლა თუ ინციდენტი გადაიკეცმოდა როგორც პირდაპირ ეთერში, ისე საინფორმაციო გამოშვებებში დღის მანძილზე. განსაკუთრებულად დიდი ინტერესი ახლდა ჰომოფობიური დაჯგუფების წარმომადგენლების აგრესიას „სირცხვილიას“ აქტივისტებზე. რესპუბლიკის მოედანზე და სხვა ლოკაციებზე რამდენიმე ადგილას იდგა ტელევიზიების კუთვნილი ავტომანქანები, რომლებიც ტექნიკურად უზრუნველყოფდნენ ჟურნალისტების პირდაპირ ჩართვებს.

პოლიციის დანაყოფები დილიდანვე მობილიზებული იყო რესპუბლიკის მოედანზე, სადაც 12:00 საათიდან დაანონსებული იყო მიტინგის განახლება და შემდეგ - დემონსტრაცია ქალაქში. საპატრულო პოლიციის მანქანები იდგნენ სხვადასხვა ლოკაციაზე. რესპუბლიკის მოედანზე პოლიციელთა საერთო რაოდენობა, სავარაუდოდ, არ აღემატებოდა 100 პოლიციელს. პოლიციელები, ძირითადად, გადანაწილებული იყვნენ რესპუბლიკის მოედანზე სხვადასხვა ლოკაციაზე. ნაწილი იმყოფებოდა მანქანებში, ნაწილი კი - ტროტუარის კიდეზე, შუენიშანთან და მიმდებარედ ხეების ჩრდილში. საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას, რესპუბლიკის მოედნის მიმდებარედ იდგა, სულ მცირე, ორი პოლიციის ავტომანქანა, რომელსაც არ ჰქონდა აღნიშვნა, რომ ეკუთვნოდა პოლიციას. თუმცა, მასში ფორმიანი პოლიციელები ისხდნენ.

პოლიცია თავიდანვე იყო ინფორმირებული, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეები გეგმავდნენ ქალაქში გზების პიკეტირებას. შესაბამისად, პოლიცია თავიდანვე ავლენდა მზაობას, რომ დაემყარებინა საზოგადოებრივი წესრიგი, გაეკონტროლებინა ავტომანქანების მოძრაობა ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე, სადაც შეკრების მონაწილეები გადაადგილდებოდნენ. სადაც საჭიროება იყო, პოლიცია სრულად ზღუდავდა ავტომანქანების გადაადგილებას.

## 26 მაისის აქცია, თბილისი

2021 წლის 26 მაისს, ქალაქ თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე საქართველოს სხვადასხვა ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულიდან შეიკრიბა მოსახლეობა. აქცია წინასწარ დაანონსდა სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის - ტელევიზიითა და სოციალური მედიის მეშვეობით. აქციის დაწყების დროდ განისაზღვრა 16:00 საათი. თუმცა, რეალურად, აქცია დაიწყო 16:30 საათზე.

ვიდრე უშუალოდ ვარლამ გოლეტიანი და აქციის სხვა ორგანიზატორები მიმართავდნენ შეკრებილებს, დიდ ეკრანზე აჩვენეს ვიდეორგოლი, სადაც სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ემიგრანტები სიტყვით მიმართავდნენ ქართველებს და მხარდაჭერას უცხადებდნენ „რიონის ხეობის მცველებს“. აქციის მიმდინარეობისას რამდენჯერმე სიგნალებით ჩაიარა მოტოციკლებისა და სკუტერების კოლონამ საქართველოს დროშებით. მიუხედავად ხალხმრავლობისა, არ შეინიშნებოდა სამართალდამცველთა დიდი რაოდენობა და რაც მთავარია, შეკრების ადგილისგან საკმაოდ მოშორებით იდგნენ პოლიციელთა ჯგუფები.

წესრიგის დასაცავად, უშუალოდ შეკრების ადგილას, სხვადასხვა ლოკაციაზე, მობილიზებულნი იყვნენ პოლიციელები. ინფორმაციის გაშუქება ხდებოდა ყოველგვარი შეფერხების გარეშე. საპროტესტო აქციაზე სამართალდამცველებსა და შეკრებილ აქტივისტებს შორის ადგილი არ ჰქონია რაიმე ფიზიკურ დაპირისპირებას. აქციის დასასრულს „რიონის ხეობის მცველები“ გაემართნენ რიონის ხეობისაკენ და განაცხადეს, რომ ბრძოლას ამ ადგილიდან გააგრძელებდნენ.

აქციის მიმდინარეობისას, გადაკეტილი იყო რესპუბლიკის მოედნის საავტომობილო გზის ნაწილი. სამართალდამცველები აკონტროლებდნენ და ხელს უწყობდნენ ავტომობილთა შეუფერხებლად გადაადგილებას<sup>64</sup>.

### კარვის აღების შეფასება

2021 წლის 11 აპრილს სოფელ ნამოხვანში პოლიციამ დაშალა „რიონის ხეობის მცველების“ კარვები, რომლებიც პროტესტის ერთ-ერთი მონაწილის მიწაზე იდგა. პოლიციის ამ მოქმედებას დიდიდან თან ახლდა განსაკუთრებულად დიდი საპოლიციო ძალის მობილიზება და მოძრაობის სრულად შეზღუდვა ნამოხვანის მიმართულებით, მათ შორის - კარვებისკენ გადაადგილება შეზღუდული ჰქონდათ პროტესტის ლიდერებს.

კარვების აღების გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა 2021 წლის 10 აპრილს, კარვების სიახლოვეს მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა. დაახლოებით, საღამოს 8 საათიდან „რიონის ხეობის მცველების“ კარავში მყოფ ერთ-ერთ პირს მდინარე რიონში ეძებდნენ. ამ შემთხვევამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მისცა შესაძლებლობა, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მოტივით, გაეძლიერებინა საპოლიციო კონტროლი უშუალოდ კარვების ტერიტორიაზე, რასაც მეორე დღესვე ხეობაში საპოლიციო და სპეციალური დანიშნულების რაზმების დამატებითი მობილიზება და კარვების დაშლა მოჰყვა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ნამოხვანში კარვების დაშლის საფუძვლად სრულიად განსხვავებულ და წინააღმდეგობრივ ვერსიებს ასახელებდა. შსს, ოფიციალური განცხადებით<sup>65</sup>, უთითებდა მდინარე რიონში წყლის დონის განსაკუთრებული მატებისა და მიმდებარე ტერიტორიის დატბორვის საფრთხეზე. თუმცა, ადგილზე სამინისტროს წარმომადგენლების მიერ კარვების დაშლის საფუძვლად სახელდებოდა მდინარე რიონში გაუჩინარებული მამაკაცის მიმდინარე სამძებრო-სამაშველო სამუშაოების ხელშეშლა, ასევე ადგილობრივების არასანდო ქცევა და შედეგად, რიონში თავის დახრჩობის რისკები.

კარვების დაშლის პარალელურად, გავრცელდა ინფორმაცია „ბანაკის ტერიტორიიდან ალკოჰოლური სასმელის ბოთლების ამოღების“ შესახებ, რაც პროტესტის მონაწილეებმა მათი მოძრაობის დისკრედიტაციის მცდელობად აღიქვეს. ამ ინფორმაციის სიზუსტესთან დაკავშირებულ ეჭვებს ამდაფრებს თავად დემონსტრანტთა ბანაკში დამკვიდრებული შინაგანაწესი და პრაქტიკა - მკაცრად გაკონტროლდეს ქცევის წესები, რაც ალკოჰოლის მოხმარებას კრძალავს.

#### ✓ არსებობდა თუ არა კარვების/შეკრების დაშლის სამართლებრივი საფუძველი

OSCE/ODIHR-ის სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, კარვისა და სხვა დროებითი კონსტრუქციების აგება მოიაზრება მშვიდობიანი შეკრების უფლებით დაცულ სფეროში<sup>66</sup>. აქტი, რომელიც კრძალავდა „კონტროლირებად ტერიტორიებზე“ კარვებისა და სხვა კონსტრუქციების აგებას, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცული მშვიდობიანი შეკრების უფლების საწინააღმდეგოდ იქნა მიჩნეული გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, იმ მიზეზით, რომ კარვის აგებამ,

<sup>64</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბილისში გამართული საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში. ანგარიში მომზადებულია: 26.05.2021.

<sup>65</sup> იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება: <https://bit.ly/3hoBZ3k>.

<sup>66</sup> იხ. Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, second edition, §18, Warsaw/Strasbourg 2010. <https://bit.ly/3bpJ1C4>.

როგორც პროტესტის ფორმამ და საშუალებამ შეიძინა საპროტესტო გზავნილისგან განუყოფელი სიმბოლური მნიშვნელობა<sup>67</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით<sup>68</sup>, ერთადერთი აუცილებლობა, რომელიც შეიძლება კონვენციით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევის საფუძვლად იქნეს გამოყენებული, შეიძლება, გამომდინარეობდეს „დემოკრატიული საზოგადოების“ მოთხოვნებიდან. ამასთან, დასახელებული მოთხოვნა მოიცავს ორ პირობას: 1. უნდა არსებობდეს უფლებაში ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება; 2. უფლებაში ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის პროპორციული.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „[...] საქართველოს კონსტიტუცია ამ უფლების **[იგულისხმება - დროებითი კონსტრუქციების განთავსების აკრძალვის შესაძლებლობა]** შეზღუდვას დასაშვებად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს, თუკი მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დროებითი კონსტრუქციების, მათ შორის - კარვის დადგმის აკრძალვას იმ შემთხვევაში, თუკი იგი ხელს არ უშლის გზის სავალ ნაწილს“<sup>69</sup>.

2016 წლის 31 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, დადგინდა, რომ წინასწარი თანხმობის გარეშე კარვის დადგმის განთავსება თავსდება მშვიდობიანი შეკრების უფლებაში. სასამართლომ განმარტა, რომ „შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება მოიცავს შეკრების გამართვის ადგილის, დროის, ფორმისა და შინაარსის არჩევის უფლებას, რაც მოიცავს დროებითი კონსტრუქციების განთავსების შესაძლებლობას“<sup>70</sup>.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საკუთარი მოქმედებების დასაბუთება სრულიად არათანმიმდევრული და არადამაჯერებელი იყო. სავარაუდოდ, იგი მიზნად „რიონის ხეობის მცველების“ მშვიდობიანი და კანონიერი პროტესტის ხელშეშლას ისახავდა, რაც გაუმართლებელი და არაპროპორციული ჩარევაა შეკრების და გამოსატყვის თავისუფლებაში. ამაზე ასევე მიუთითებს „რიონის ხეობის მცველების“ მიერ პოლიციისადმი არაერთხელ გაჟღერებული მიმართვა, არსებული კარვების აღების სანაცვლოდ, მიეცათ მათთვის უშუალოდ სოფელ ნამოხვანში, ალტერნატიულ ტერიტორიაზე კარვების გაშლის შესაძლებლობა, რაც მსს-მ დაუსაბუთებლად უგულებელყო. საბოლოოდ, პროტესტის მონაწილეები იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ სოფელ ნამოხვანში პროტესტის ადგილი და გადასულიყვნენ სოფელ გუმათთან შეკრებილებთან.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სამართალდამცავთა ქმედება, არ დაუშვას აქციის მონაწილეების მიერ შეკრების ადგილას კარვის განთავსება, წარმოადგენს მშვიდობიანი შეკრების ფორმის კონტროლის მცდელობას, რაც უხეშად არღვევს როგორც

<sup>67</sup> იხ. *Tabernacle v Secretary of State for Defence* [2009] EWCA Civ 23 (05 February 2009). <https://bit.ly/3bjcv4q>. ასევე, იხ. European Commission for Democracy through law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, para 148. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3hfX9R2>.

<sup>68</sup> იხ. *United Communist Party of Turkey and Others v. Turkey* (პ. 45).

<sup>69</sup> იხ. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება საქართველოს კონსერვატიული პარტია, საქართველოს მოქალაქეები \_ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშყარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 2011 წელი.

<sup>70</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე №3/6463-16.



საქართველოს კონსტიტუციითა და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გარანტირებულ შეკრების უფლების არსს, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ უფლებებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია, ხელი არ შეუშალოს შეკრების მშვიდობიანი ფორმით ჩატარებას. აქციის ფორმის, დროისა და ადგილის არჩევის უფლება ისევეა შეკრების უფლების ნაწილი, როგორც მისი შინაარსი. ამასთან, კარავიც, შესაძლოა, წარმოადგენდეს აქციის გაგრძელებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ატრიბუტს.

აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ აქციის ორგანიზატორებისთვის სწორედ სოფელ ნამოხვანის ტერიტორიაზე აქციის ჩატარება წარმოადგენდა გამოხატვის არსებით კომპონენტს, რადგან იმ ტერიტორიიდან უშუალოდ შეეძლოთ ჰესის მოსამზადებელ სამუშაოებზე ვიზუალური დაკვირვება და ამ პროცესის მშვიდობიანი გზით გაპროტესტება. აქციების განგრძობადი ხასიათიდან გამომდინარე კი, კარვები არსებითი ინსტრუმენტი იყო, რათა მონაწილეებს ეფექტიანად ესარგებლათ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით. ამასთან, შეკრება ცალსახად ატარებდა მშვიდობიან ხასიათს და აქციების რამდენიმეთვიანი მსვლელობა სწორედ ამას ადასტურებს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, სამართალდამცავთა ქმედებები უკანონო და არაკონსტიტუციურია.

### გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა

გაუგებარი და დაუსაბუთებელი იყო სოფელ ნამოხვანის მიმართულებით ბლოკოსტების მოწყობა და საქართველოს მოქალაქეებისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა.

მდინარე რიონის ხეობაში 2021 წლის 3 აპრილიდან 2021 წლის 18 ივნისამდე<sup>71</sup>, ვიდრე ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს წარმომადგენლების მედიაციის პროცესი დაიწყებოდა „რიონის ხეობის მცველებსა“ და მთავრობას შორის, განსაკუთრებული საპოლიციო მობილიზება იყო და ადგილობრივებს შეზღუდული ჰქონდათ სოფელ ნამოხვანისკენ თავისუფალი გადაადგილების უფლება, აგრეთვე - სოფელში შეკრებისა და გამოხატვის უფლებით სარგებლობა.

თბილისში 23 მაისიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების დასრულების შემდეგ, 2021 წლის 27 მაისს, აქტივისტები დაბრუნდნენ სოფელ გუმათთან, სადაც სწორედ 18 ივნისამდე საპოლიციო ბლოკოსტები და რკინის ჯებირები იყო განლაგებული. ამიტომ, რამდენიმე დღის განმავლობაში, აქტივისტები ამ რკინის ჯებირებზე ბრახუნით, ხმაურის გამოწვევის გზით, ნამახვანჰესის დარღვევებით მიმდინარე მშენებლობას და შსს-ს მიერ სოფელ ნამოხვანისკენ გადაადგილების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას აპროტესტებდნენ<sup>72</sup>.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 11 აპრილს გადაადგილების შეზღუდვა უშუალოდ ხეობის მცველების გარდა, შეეხოთ მედიის წარმომადგენლებსაც. „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ“<sup>73</sup> და „კოალიციამ მედიის ადვოკატირებისათვის“ ეს შეზღუდვა გაუმართლებლად მიიჩნიეს<sup>74</sup>.

<sup>71</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3weCLWg>.

<sup>72</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/361Z0nB>.

<sup>73</sup> იხ. „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის განცხადება: <https://bit.ly/3hYJyz7>.

<sup>74</sup> იხ. „კოალიცია მედიის ადვოკატირებისათვის“ განცხადება: <https://bit.ly/2Uigk4T>.

✓ **არსებობდა თუ არა გადაადგილების თავისუფლებაში ჩარევის სამართლებრივი საფუძველი**

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 თავში გაწერილია პრევენციული ღონისძიებები და გამიჯნულია სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებისგან. ამავე კანონის 25-ე (ადგილის დატოვების მოთხოვნა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვა) და 26-ე მუხლები (პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა) პრევენციულ ღონისძიებებს აწესრიგებენ. 25-ე მუხლის საფუძველზე, პოლიციელი უფლებამოსილია, პირს მოსთხოვოს გარკვეული ადგილის განსაზღვრული დროით დატოვება ან აუკრძალოს მას კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა, თუ ეს აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული შეზღუდვა შესაძლებელია, გაგრძელდეს საფრთხის აღმოფხვრამდე. ამ მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება არ უნდა იწვევდეს პირის უფლების ხანგრძლივ შეზღუდვას, ისარგებლოს საკუთარი საცხოვრებელი ადგილით<sup>75</sup>.

ამავე კანონის 26-ე მუხლის საფუძველზე, პოლიცია უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დროებით შეზღუდოს პირის გადაადგილება: ა) თუ პირი თავისი ქმედებით საფრთხეს უქმნის საკუთარ ან სხვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას; ბ) პირის მიერ ამ კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში; პოლიცია უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დროებით შეზღუდოს ნივთის ფაქტობრივი ფლობა ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, თუ იგი პირმა შეიძლება გამოიყენოს საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის ხელყოფისათვის ან სხვისი ნივთის დაზიანებისათვის<sup>76</sup>.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საპოლიციო ღონისძიების განხორციელების წინაპირობას პოლიციელის მიერ საფრთხის შეფასება წარმოადგენს<sup>77</sup>. საფრთხის ცნება შემოფარგლავს პოლიციის პრევენციულ საქმიანობას, განსაზღვრავს მისი მოქმედების არეალს და ამავე დროს, იცავს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს სახელმწიფოს მხრიდან დაუსაბუთებელი ჩარევისაგან.

ზოგადად, „პოლიციის შესახებ“ კანონის თანახმად, საფრთხედ ითვლება ვითარება, როცა არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების შეუფერხებელი მსვლელობის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ზიანი მიაღება პოლიციის მიერ დასაცავ სიკეთეს. კანონის თანახმად, საფრთხის არსებობა დადასტურებული უნდა იყოს ობიექტური გარემოებით, რაც საკმარისი იქნებოდა ობიექტური დამკვირვებლისთვის, გარემოებათა გათვალისწინებით შესაბამისი დასკვნის გასაკეთებლად<sup>78</sup>.

შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, პოლიციამ ობიექტური დამკვირვებლის თვალთ უნდა შეაფასოს გარემოებები და გამოიტანოს დასკვნა, მოცემულ ვითარებაში მოსალოდნელია თუ არა მოვლენათა იმგვარი განვითარება, რომ საფრთხე შეექმნას დასაცავ სიკეთეს. მიუხედავად არსებული რეგულირებისა, ხშირად, პრაქტიკაში, პოლიცია ამ

<sup>75</sup> იხ. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლი: <https://bit.ly/361aTdv>.

<sup>76</sup> იხ. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი: <https://bit.ly/361aTdv>.

<sup>77</sup> იხ. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი: <https://bit.ly/361aTdv>.

<sup>78</sup> იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 სექტემბრის განჩინება, საქმე № 330310016001256884: <https://bit.ly/3Adu8yd>.

სტანდარტს არ იცავს და ნეიტრალური დამკვირვებლის ნაცვლად, აბსტრაქტულ საფრთხეზე მითითებით, სუბიექტური შეფასებიდან გამომდინარე, იყენებს უფლების მზღუდავ ღონისძიებებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „[...] დაუშვებელია, პირის თავისუფლებაში ჩარევა ეფუძნებოდეს მხოლოდ სუბიექტურ განცდას, წინათგრძნობას ან ინტუიციას. პირის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ეჭვის წარმოქმნა ისეთ ფაქტს, გარემოებას ან მათ ერთობლიობას უნდა ემყარებოდეს, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს ეჭვის წარმოქმნის საფუძვლიანობაში დაარწმუნებს<sup>79</sup>.

მოცემულ შემთხვევაში, 2021 წლის 3 აპრილიდან, რიონის ხეობაში ნამოხვანისკენ მიმავალ გზებზე ბლოკპოსტების ჩადგმისას, სამართალდამცავების მიერ განმარტებული არ ყოფილა, თუ რა საფრთხეს გულისხმობდა პოლიცია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საფრთხე არ ყოფილა კონკრეტული და მყისიერი და მისი მოსალოდნელობა დასაბუთებული არ იყო ობიექტური ინფორმაციითა და გარემოებებით. შედეგად, პოლიციის პრევენციულ ღონისძიებას, როგორც გადაადგილების თავისუფლების, ისე შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაში დაუსაბუთებელი და უხეში ჩარევა მოჰყვა.

ამ ქმედების გასამართლებლად მსს-ს მიერ წარმოდგენილი დასაბუთება ვერ აკმაყოფილებდა უფლებაში ჩარევისთვის საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებების სტანდარტებით დადგენილ საბაზისო მოთხოვნებს. კერძოდ, რიონის ხეობაში მოქალაქეთა გადაადგილების შეზღუდვას, სამინისტრო „მოსალოდნელი საფრთხეებისა და სიტუაციის შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილებით“ ხსნიდა, მაგრამ რა სახის კონკრეტულ საფრთხეებს გულისხმობდნენ, არ განუმარტავთ<sup>80</sup>.

### შეკრების მონაწილეთა დაკავების/დაჯარიმების პრაქტიკა

გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის და კარვების დაშლის გარდა, ნამახვანჰესის აქციის მონაწილეების მიმართ სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლები სხვა რეპრესიულ მეთოდებსაც იყენებდნენ, როგორიცაა - დაკავება და ჯარიმები.

2021 წლის 3 აპრილს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ნამოხვანის მიმართულებით გზების ჩაკეტვის შემდეგ, 12 ადამიანი, რომელიც რიონის ხეობაში ნამახვანჰესის მშენებლობას აპროტესტებდა, პოლიციამ სოფელ გუმათში, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის გამო, 2000-2000 ლარით დააჯარიმა. ისინი გუმათში ავტომანქანებში ღამის გასათევად მას შემდეგ დარჩნენ, რაც სამართალდამცველებმა დღის განმავლობაში ნამოხვანში კარვების მიმართულებით გადაადგილების უფლება არ მისცეს და უკან დაბრუნების შესაძლებლობაც აღარ ჰქონდათ საკმარისი ღროის გამო<sup>81</sup>.

2021 წლის 4 აპრილს, სოფელ ზარათის მაცხოვრებელი მირიან მაღლაფერიძე, რომელიც გვერდით სოფელში (მოფურჩხეთში) მაღაზიაში პურის საყიდლად გადაადგილდებოდა, პოლიციამ მას შემდეგ შეაჩერა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მოსთხოვა, რაც იგი სოფელში დიდი რაოდენობით პოლიციელების მობილიზების გამო ტელეფონით ვიდეოს

<sup>79</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პ. 29. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3h64x2A>.

<sup>80</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3eD2wt5>.

<sup>81</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3qB4waf>.

იღებდა. პოლიციის მოთხოვნაზე მაღლაფერიძემ უპასუხა, რომ მშობლიურ სოფელში პირადობის მოწმობას თან არ ატარებს. მას შემდეგ კი, რაც პურის საყიდლად გადაადგილებაზე პოლიციისგან უარი მიიღო, სამართალდამცავებს პურის შეძენა სთხოვა, რაც პოლიციამ შეურაცხყოფად მიიღო და იგი წვრილმანი ხულიგნობისა და დაუმორჩილებლობის მუხლებით დააკავეს<sup>82</sup>.

2021 წლის 9 აპრილს სოფელ ნამოხვანში, პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის საფუძვლით, დააკავეს პროტესტის მონაწილე ლაშა ქუთათელაძე. სასამართლო პროცესზე პოლიციელმა განმარტა, რომ ქუთათელაძის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა რიონის ხეობაში გადაადგილებაში გამოიხატა. ამ შემთხვევაში მოსამართლემ ლაშა ქუთათელაძე ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად არ ცნო და დარბაზიდან გაათავისუფლა<sup>83</sup>.

2021 წლის 14 აპრილს სოფელ გუმათში მიმდინარე საპროტესტო აქციაზე პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის 6 პირი დააკავა. შსს-ს განცხადებით, პოლიციის მიერ არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, აქტივისტებმა არ გაათავისუფლეს გზის სავალი ნაწილი, არ დაემორჩილნენ პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს, რის შემდეგაც პოლიციამ გამოიყენა იძულების პროპორციული ღონისძიებები<sup>84</sup>.

2021 წლის 27 მაისს, სოფელ გუმათში, სადაც რკინის ბარიერები იყო აღმართული, ნამახვანჰესის მოწინააღმდეგეებსა და პოლიციას შორის დაპირისპირება მოხდა. ნამახვანჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეები ბარიერებზე ხელების დარტყმითა და ხმაურით პროტესტს გამოხატავდნენ, ამავდროულად ბარიერებს მიღმა გადასვლას და სოფელ ნამახვანისკენ წასვლას ცდილობდნენ, რისი უფლებაც მათ ადგილზე მობილიზებულმა პოლიციამ არ მისცა. დაპირისპირებისას სამართალდამცველებმა „რიონის ხეობის მცველების“ 8 წარმომადგენელი დააკავა ადმინისტრაციული წესით<sup>85</sup>. 28 მაისს დაკავებული აქტივისტები გაათავისუფლეს<sup>86</sup>.

ეუთო/ოდირის პრინციპების თანახმად, პირის დაკავება, ლეგიტიმურ შეკრებაში მონაწილეობის გამო მისი დასჯის მიზნით, მიჩნეული იქნება თვითნებურად და გაუმართლებლად<sup>87</sup>. შეკრების მონაწილეთათვის გაუმართლებელი, არაპროპორციულად მაღალი სანქციების დაკისრებამ შესაძლოა, მსუსხავი ეფექტი იქონიოს შეკრების მონაწილეებზე და გაუტოლდეს შეკრების უფლების არაპირდაპირ შეზღუდვას.

ნამახვანჰესის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის დროს, დემონსტრანტთა წინააღმდეგ გამოყენებული ადმინისტრაციული დაკავებები და ადმინისტრაციული ჯარიმები არსებითად დაუსაბუთებელი იყო და მიმართული იყო არა საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდობის უზრუნველსაყოფად, არამედ საპროტესტო მუხტის შემცირებისკენ.

<sup>82</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3jwb3S4>.

<sup>83</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3w7Bosh>.

<sup>84</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2TrjVNY>.

<sup>85</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3h83Upu>.

<sup>86</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/36baVPL>.

<sup>87</sup> იხ. European Commission for Democracy through law (Venice Commission) and OSCE office for Democratic Institutions and Human Rights (OSCE/ODIHR) guidelines on freedom of peaceful assembly (3rd Edition), Strasbourg/Warsaw, 8 July 2019, para 36. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3ydLgSu>.



## სამოქალაქო აქტივისტების უფლებრივი მდგომარეობა აქციაზე

2021 წლის 24 მაისს რესპუბლიკის მოედანზე მიმდინარე აქციაზე მისულ სამოქალაქო აქტივისტებს, სალომე ბარკერს და ზურა ბერძენიშვილს გურამ ფალავანდიშვილის შვილმა, ალექსანდრე ფალავანდიშვილმა და მისმა თანმხლებმა პირებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და ტერიტორიის დატოვება მოსთხოვეს<sup>88</sup>. თავდასხმის მიზეზი ცისარტყელას ფერებში გაფორმებული სამკლავური გახდა, რომელიც სალომე ბარკერს ეკეთა და რომელიც თავდამსხმელთა განცხადებით, პროვოკაციული იყო. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა კი, აქციის მიმდებარე ტერიტორიას სწორედ სამოქალაქო აქტივისტები განარიდა<sup>89</sup>.

საგულისხმოა, რომ ეს არ არის გურამ და ალექსანდრე ფალავანდიშვილებთან დაკავშირებული ჯგუფების გააქტიურების და მოქალაქეებზე თავდასხმის პირველი ფაქტი. მსს-ს არც ერთ მსგავს შემთხვევაზე სათანადო რეაგირება არ ჰქონია. ხელისუფლება თავს არიდებს ე.წ. სიძულვილის ჯგუფების მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარებას და მათ დასჯას, რითაც კვლავ მშვიდობიან აქტივისტთა სამოქალაქო უფლებები ირღვევა, ხოლო მათი ჯანმრთელობა და სიცოცხლე საფრთხის ქვეშ ექცევა.

შეკრებისა და გამოსატყვის თავისუფლების უზრუნველყოფა არ შეიძლება, დაყვანილ იქნეს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებაზე – უფლებით სარგებლობის დროს, თავი შეიკავოს უსამართლო ჩარევისგან. სახელმწიფოს, ასევე, აკისრია პოზიტიური ვალდებულება, რომელიც მას შეკრების თავისუფლებით მოსარგებლე ადამიანების დაცვის უზრუნველყოფას ავალდებულებს. სახელმწიფოს ევალება, დაიცვას მშვიდობიანი შეკრება მესამე პირთა მხრიდან ჩადენილი ძალადობრივი ქმედებებისგან.

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მშვიდობიანი აქციის ჩატარების უფლებით სარგებლობისათვის სათანადო პირობების შექმნა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა. მსგავსი მსვლელობის წინააღმდეგ ჩადენილი გადაცდომა კი სწრაფ და შესაბამის რეაგირებას საჭიროებს.

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლო განმარტავს, „დემონსტრაციის მონაწილეებს უნდა შეეძლოთ შეკრების თავისუფლებით სარგებლობა ისე, რომ არ ჰქონდეთ მიში ოპონენტების მხრიდან გამოვლენილი ფიზიკური ძალადობისადმი დაქვემდებარების ამგვარი მიში, შესაძლოა, გამხდარიყო ჯგუფებისა და ასოციაციების მხრიდან თემისათვის განსაკუთრებით კონტრავერსულ საკითხებზე აზრის ღიად გამოხატვის ხელის შემშლელი ფაქტორი“<sup>90</sup>. გარდა ამისა, ევროსასამართლომ განმარტა, რომ „[...] პლურალიზმი და დემოკრატია მრავალფეროვნების ქმედარიტ აღიარებასა და პატივისცემას ეფუძნება. განსხვავებული იდენტობის პირებისა და ჯგუფების ჰარმონიული ინტერაქცია აუცილებელია საზოგადოებრივი ერთობის მისაღწევად“<sup>91</sup>.

<sup>88</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3dyOcBA>.

<sup>89</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2UfpY8u>.

<sup>90</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - „Ärzte Für Das Leben v. Austria“ (Application no. 10126/82). 21.06.1988.: <https://bit.ly/3hgrz5G>.

<sup>91</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - „Identoba v. Georgia“ (Application no. 73235/12). 12.08.2015: <https://bit.ly/2UdzDwu>.

## ქსენოფობიის/ჰომოფობიის პრობლემა - გავრცელებული ინფორმაციები და აქციის ორგანიზატორთა განმარტებები

აქციების მონიტორინგის სხვადასხვა ეტაპზე, განსხვავებული ინტერპრეტაციითა თუ მოცულობით შუქდებოდა ტელე და ონლაინ მედია სივრცეში ნამახვანჭესის საწინააღმდეგო აქციების შესახებ ინფორმაცია. აქციების მიმდინარეობისას, არსებული პოლიტიკური კრიზისის გათვალისწინებით, ნამახვანჭესის საწინააღმდეგო აქციების სრულფასოვანი გაშუქება დიდი ხნის განმავლობაში არ ყოფილა პრიორიტეტი წამყვანი მედიასაშუალებებისთვის. ონლაინ მედიასივრცეში, მთელი ამ დროის განმავლობაში, მმართველ პოლიტიკურ ძალასთან ასოცირებული გვერდები ავრცელებდნენ დეზინფორმაციასა და ამ აქციის მადისკრედიტირებელ ინფორმაციას. ამასთან, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის განმახორციელებელი კომპანიის საინფორმაციო კამპანია დიდი ხნის განმავლობაში ინერტული იყო. თუმცა, მას შემდეგ, რაც აქციებისადმი საზოგადოებრივი ყურადღება გაიზარდა და მისი გაშუქება წამყვანმა მედიასაშუალებებმაც აქტიურად დაიწყეს, ხელისუფლება და თავად კომპანიის ინტერესიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე მედიის გამოყენებით - გამძაფრდა.

ცალკეული მედიასაშუალებები ნამახვანჭესის საწინააღმდეგო აქციებს მიკერძოებულად აშუქებდნენ. რიგ შემთხვევებში, ეს ხდებოდა ფრაგმენტულად, აქციის შინაარსისა თუ იქ არსებული რეალური სიტუაციის გათვალისწინების გარეშე, აქციის ცალკეული მონაწილეების თუ მცირე ჯგუფების გაშუქებით, რომლებიც თურქი ინვესტორების მიმართ იყენებდნენ სიძულვილის ენას ქსენოფობიურ კონტექსტში. აქციაზე წარმოდგენილი ულტრაკონსერვატიული ჯგუფებისა თუ ცალკეულ პირთა ქსენოფობიური განცხადებები, ხშირ შემთხვევაში, შუქდებოდა როგორც აქციის სულისკვეთება და მისი ორგანიზატორების პოზიცია.

განსაკუთრებით შესამჩნევი ნეგატიური გაშუქების კამპანია, ნამახვანჭესის აქციაზე მისული აქტივისტის მიერ ლგბტ დროშის სამკლავურის ტარებასთან დაკავშირებულ ინციდენტს მოჰყვა, რომელიც მეინსტრიმ მედიაში წარმოჩინდა, როგორც აქციის ორგანიზატორების მხრიდან დისკრიმინაციული მიდგომების დაცვა. ამავე პერიოდში, აქციებზე აქტიურად მიდიოდნენ ულტრაკონსერვატიულ ძალებთან დაკავშირებული ცნობადი ადამიანები, რომლებიც აქციებიდან მუდმივად ცდილობდნენ მედიასთან კონტაქტს, საზოგადოებაში იმ აზრის გასავრცელებლად, რომ სწორედ ისინი წარმოადგენდნენ აქციაზე მყოფ მოსახლეობას. მედიის მიერ მათი ცალმხრივი გაშუქებით, რეალურად ხელისუფლება, მედია და ხშირად სწორედ ხელისუფლებასთან და უსაფრთხოების სამსახურებთან ლოიალურ დამოკიდებულებაში მყოფი ულტრაკონსერვატიული ჯგუფები ერთდროულად ცდილობდნენ აქციის დემონიზებას.

აქციის ორგანიზატორთა განმარტებებისა<sup>92</sup>, თუ მათთან დაკავშირებული უფლებადაცვითი ორგანიზაციების<sup>93</sup> მიერ პოზიციის დაფიქსირების მიუხედავად, რომ ისინი ყოველგვარ ქსენოფობიურ მოწოდებებს ემიჯნებოდნენ, ცალკეულ პოლიტიკოსთა თუ მედიასაშუალებათა მხრიდან, მიკერძოებული გაშუქების პრაქტიკა მაინც არ შეცვლილა. ამ საკითხზე ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ მოუწოდა მედიასაშუალებებს, განსაკუთრებული სიფრთხილით გააშუქონ აქციიდან მიღებული ინფორმაცია, რათა არ წაახალისონ ეთნიკური

<sup>92</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3AjQ2Qg>.

<sup>93</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3qDuh9O>.

ნიშნით დისკრიმინაცია<sup>94</sup>.

სამწუხაროდ, დისკრედიტაციის ეს მიზანმიმართული პოლიტიკა დღემდე გრძელდება. როგორც ჩანს, ხელისუფლების წარმომადგენლებისა და სხვა აქტორების ამგვარი რიტორიკა ღიად ემსახურება იმ სოციალური პროტესტის დელეგიტიმაციის მცდელობას, რაც თავისი არსით სწორედ სახელმწიფოსა და კოლექტიური ინტერესების დაცვისა და შენარჩუნებისკენ არის მიმართული და მთელი ამ დროის განმავლობაში ააშკარავებს სახელმწიფო და საჯარო ინტერესის წინააღმდეგ მიმართულ შეთანხმებულ ქმედებებს მთავრობისა და კომპანიის მხრიდან.

2021 წლის 29 მარტს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოსახლეობას ე.წ. „ჰიბრიდული ენერგეტიკული ომის“ შესახებ ამცნო<sup>95</sup>. ამით პრემიერმა მხარი დაუჭირა ნარატივს, რომ ნამახვანჭესი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისთვის ერთადერთი ალტერნატივაა და ამ პროექტის განუხორციელებლობა ქვეყნის მტრების ინტერესშია<sup>96</sup>. იგივე ნარატივი ვრცელდებოდა ონლაინ გამოცემებით, ძირითადად, ხელისუფლებასთან ასოცირებულ ფეისბუკგვერდებზე, სადაც აქციის ორგანიზატორთა დადანაშაულება რუსული ინტერესების გატარებაში მუდმივად აღინიშნებოდა.

ამავე დროს, 2021 წლის 2 ივლისს, მოძრაობამ „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“ გაავრცელა განცხადება<sup>97</sup>, რომელიც თბილისში დაგეგმილ „ღირსების მარშს“ ეხმარებოდა და მას ემიჯნებოდა, როგორც „არატრადიციული ცხოვრების წესის პროპაგანდას“ და „სახელმწიფოსა და საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას“. ამავე დროს, 5 ივლისს, მოძრაობის ლიდერები შეუერთდნენ „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ ძალადობრივი ჯგუფების მიერ გამართულ კონტრაქციას თბილისში, რომელიც იმთავითვე აშკარა იყო, რომ ძალადობრივ შინაარსს და განზრახვას ატარებდა<sup>98</sup>. მიუხედავად ამისა, „რიონის ხეობის მცველები“ აცხადებდნენ, რომ ისინი, საქართველოს საპატრიარქოს მოწოდების გამო, მხოლოდ პარაკლისზე დასასწრებად შეუერთდნენ აქციას, ხოლო ძალადობას ემიჯნებოდნენ<sup>99</sup>.

„რიონის ხეობის მცველების“ გადაწყვეტილება, შეერთებოდნენ დეკლარირებულად ძალადობრივ აქციას მიუღებელი აღმოჩნდა მათი პროტესტის აქტიური მხარდამჭერი ორგანიზაციებისთვის - სოციალური სამართლიანობის ცენტრისთვის და „მწვანე ალტერნატივისთვის“.

სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადებით, „რიონის ხეობის მცველების“ მხრიდან ძალადობრივი, ანტიდემოკრატიული და არაჰუმანური ძალების მხარეს დადგომა და ლიდერების მხრიდან საკუთარი მოძრაობის ფილოსოფიური და ეთიკური საფუძვლებისა და ღირებულებების წინააღმდეგ წასვლამ, მათთან ალიანსის შენარჩუნება შეუძლებელი გახდა. თუმცა, ისინი განაგრძობენ სამართლებრივ და პოლიტიკურ ბრძოლას უსამართლო, გაუმჭვირვალე და არადემოკრატიული ენერგოპოლიტიკის წინააღმდეგ, ისევე როგორც

<sup>94</sup> იხ. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის განცხადება: <https://bit.ly/3ybd8C5>.

<sup>95</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3dtFrZd>.

<sup>96</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/36c5kst>.

<sup>97</sup> იხ. „რიონის ხეობის მცველების“ განცხადება: <https://bit.ly/36omC5M>.

<sup>98</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3xyx07g>.

<sup>99</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3k1xyi0>.

ნამახვანჭესის კასკადის მშენებლობის წინააღმდეგ, რომელიც სწორედ ამგვარი პოლიტიკის ნათელი გამოვლინებაა<sup>100</sup>.

„მწვანე ალტერნატივას“ განცხადებით, „რიონის ხეობის მცველებმა“, რომელთაც ამ წინააღმდეგობაში მოკავშირეებად განიხილავდნენ, სრულიად მიუღებელი პოზიცია დააფიქსირეს პრაიდთან დაკავშირებით და ადამიანის უფლებების შემლახავ აქციაში მონაწილეობით, დისკრედიტაცია გაუწიეს მთელ წინააღმდეგობის მოძრაობას. ამდენად, „მწვანე ალტერნატივა“ წყვეტს რიონის ხეობის გადარჩენისთვის მოძრაობასთან კომუნიკაციას<sup>101</sup>. რაც შეეხება ნამახვანჭესის წინააღმდეგ კამპანიასა და საზოგადოებრივ მოძრაობას „რიონის ხეობის გადარჩენისთვის“, მათი განცხადებით, „მწვანე ალტერნატივა“ ნამახვანჭესის აშენების წინააღმდეგი იყო ამ საზოგადოებრივი მოძრაობის ჩამოყალიბებამდე და გააგრძელებს ამ წინააღმდეგობას<sup>102</sup>.

## დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ნამახვანჭესის პროექტის განხორციელების თაობაზე სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და გარემოსდაცვითი ნებართვის ანალიზი პროცესების მიმდინარეობისას შიდა კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი გარემოსდაცვითი პრინციპების უხეშ დარღვევებს ააშკარავებს. მათ შორის, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაირღვა საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობის მოთხოვნები.

პრაქტიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ წლების განმავლობაში სახელმწიფო უწყებების გადაწყვეტილებები ვერ პასუხობს საზოგადოებაში არსებულ ლეგიტიმურ კითხვებს. დღემდე აღმოუფხვრელ პრობლემად რჩება გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტებისა და ჩატარებული კვლევების ხარისხის მიმართ უნდობლობა, საზოგადოების ინფორმირება/ჩართულობის თვალსაზრისით არსებული ხარვეზები, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების უგულებელყოფის, ინფორმაციისა და მონაცემების გამჭვირვალობის პრობლემა, პროექტების სარგებლიანობის მიმართ არსებული საფუძვლიანი ეჭვები. სწორედ დასახელებულმა პრობლემებმა ფუნდამენტურად გაუმჯობესებული ეროვნული კანონმდებლობის მიუხედავად, ერთობლიობაში და განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი ნამახვანჭესის კასკადის პროექტთან მიმართებითაც.

ამ პრობლემებმა კი, შედეგად, საზოგადოება აიძულა, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ამგვარი პოლიტიკის წინააღმდეგ მასშტაბური საპროტესტო აქციები წამოეწყო, რასაც სახელმწიფომ რეპრესიული საპოლიციო სისტემა დაუპირისპირა.

ხეობაში მრავალრიცხოვანი საპოლიციო ძალის მობილიზებით, დაუსაბუთებელი შეზღუდვების დაწესებით და ადგილობრივების უფლებების უხეში დარღვევით, ხელისუფლებამ თავად შეუწყო ხელი პროცესის ესკალაციას და საგნობრივი, კონსტრუქციული დიალოგის სივრცე არ დატოვა.

ადგილზე შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, პირის დაკავება, ლეგიტიმურ შეკრებაში მონაწილეობის გამო მისი დასჯის მიზნით, მიჩნეული უნდა იქნეს თვითნებურად

<sup>100</sup> იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/36LjHV4>.

<sup>101</sup> იხ. „მწვანე ალტერნატივას“ განცხადება სრულად: <https://bit.ly/3wWrTwm>.

<sup>102</sup> იხ. „მწვანე ალტერნატივას“ განცხადება სრულად: <https://bit.ly/3xRnc3D>.



და გაუმართლებლად. შეკრების მონაწილეებისათვის გაუმართლებელი და არაპროპორციულად მაღალი სანქციების დაკისრებამ მსუსხავი ეფექტი იქონია შეკრების მონაწილეებზე და უტოლდება შეკრების უფლების არაპირდაპირ შეზღუდვას და ა.შ.

საბოლოო ჯამში, ხელისუფლება ცდილობს, სხვადასხვა ბარიერი შეუქმნას და ხელი შეუშალოს „რიონის ხეობის მცველების“ ლეგიტიმურ და მშვიდობიან სოციალურ პროტესტს. სახელმწიფო თავისი ხისტი, რეპრესიული და ძალადობრივი პოლიტიკის გასატარებლად სამართალდამცავ სისტემებს იყენებს და უხეშად არღვევს საქართველოს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტებით გარანტირებულ შეკრება/მანიფესტაციის, გამოხატვის, თავისუფალი მიმოსვლისა და გადაადგილების ფუნდამენტურ უფლებებს.

ნამახვანჭესის მშენებლობის მოწინააღმდეგეთა დემონიზების მიზნით არაერთი დისკრედიტაციული კამპანია მიმდინარეობს, მათ შორის ყველაზე გავრცელებული იყო კამპანია ქსენოფობიური განცხადებების თაობაზე, რასაც თითქოსდა „რიონის ხეობის მცველების“ ავრცელებდნენ თურქი ინვესტორის მიმართ. ამ კამპანიაში აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც მთავრობის და კომპანიის, ისე ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები. შესაბამისად, საზოგადოებაში უცხოელებისა და მიგრანტების მიმართ უარყოფითი, ქსენოფობიური განწყობების გაღვივებას ხელს უწყობდა პოლიტიკოსების პოპულისტური და ზოგჯერ სიძულვილის ენის შემცველი რიტორიკაც, რაც მძიმე შედეგებამდე შეიძლება მივიდეს და სხვადასხვა ულტრამემარჯვენე ძალამ საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოიყენოს.

## რეკომენდაციები

### ადამიანის უფლებათა ცენტრი მოუწოდებს:

#### საქართველოს მთავრობას

- შეწყვიტოს როგორც გამოხატვის, ისე მიმოსვლის თავისუფლების დაუსაბუთებელი, არაპროპორციული და თვითნებური შეზღუდვა, „რიონის ხეობის მცველებს“ მისცეს მშვიდობიანი გზებით პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობა, ხოლო პრობლემის მოგვარებისთვის მოსახლეობასთან შინაარსობრივი დიალოგის გზა აირჩიოს.
- გაატაროს ყველა შესაძლო ღონისძიება, რათა დასაბუთებული პასუხი გაეცეს ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და დაინტერესებული საზოგადოების ლეგიტიმურ კითხვებს ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის მოსალოდნელ ზეგავლენასთან დაკავშირებით და არ დაუშვას პროექტის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ყველა საჭირო ასპექტის კვალიფიციური და სრულყოფილი შესწავლის გარეშე.

#### საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

პატივი სცეს მშვიდობიანი შეკრების კონსტიტუციურ უფლებას, რომელიც მოქალაქეებს კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული, რაც, თავის მხრივ, შეიძლება, გავლენას ახდენდეს მიმდინარე დემოკრატიულ პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებზე, იწვევდეს მთავრობის ან მისი წევრის გადადგომას, პოლიტიკური წყობილების ან მმართველობის ფორმის შეცვლასაც კი;

- მეცვალოს მშვიდობიანი შეკრებების დროს კარვების/სხვა კონსტრუქციების გაშლის შეზღუდვის უკანონო და თვითნებური პრაქტიკა;
- მეცვალოს მშვიდობიანი შეკრებების დროს დაკავების/დაჯარიმებისა და მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის უკანონო და თვითნებური პრაქტიკა.